კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

მაგისტრანტი ბექა ხარატიშვილი

სამაგისტრო ნაშრომი: „ოჯახში ძალადობის გამოვლენის აღკვეთისა და თავიდან აცილების თავისებურებები საქართველოში „

სამართლის სამაგისტრო პროგრამა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი სერგო ჭელიძე

თბილისი 2020

ანოტაცია

ოჯახში ძალადობა არის ოჯახის წევრებს შორის განხორციელებული ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სექსუალური, ეკონომიკური იძულებითი ძალადობა. ოჯახში ძალადობის ყველაზე გახშირებული ფორმას წარმოადგენს ფსიქოლოგიური და ფიზიკური ძალადობა. ოჯახში ძალადობის გახშირებულ შემთხვევებია ძალადობა ცოლ-ქმარს შორის. იშვიათია შემთხვევა, როდესაც მსხვერპლი არის მამაკაცი. ყველაზე გახშირებულია ძალადობა ქალთა მიმართ, თუმცა, ოჯახში ძალადობის მსხვერპლი შეიძლება გახდეს არასრულწლოვანი, მოხუცი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ოჯახის წევრი, ასევე სხვა ოჯახის წევრებიც.

წარმოდგენილ სამაგისტრო ნაშრომში განხილულია ოჯახში ძალადობის სამი ასპექტი. დასაწყისში საუბარია დანაშაულის რაობაზე, მის წარმომავლობაზე და გამოვლენის ფორმებზე. ნაშრომის მეორე ეტაპს კი წარმოადგენს დანაშაულზე რეაგირების საკითხების შესწავლა. განხილულია დანაშაულზე რეაგირების სამართლებრივი მექანიზმები როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო საკანონმდებლო ჩარჩო. ნაშრომის მესამე ნაწილი შეეხება ძალადობის მსხვერპლის მიმართ დაცვითი ღონისძიებების განხილვას, ასევე მოძალადეების უფლებრივი მდგომარეობის შესახებ მსჯელობას.

ნაშრომის ბოლო, მეოთხე ნაწილში საუბარია დანაშაული პრევენციის აუცილებლობაზე, გამოწვევებზე, დანაშაულის თავიდან აცილებასთან მიმართებით სახელმწიფოსა და საზოგადოების ჩართულობაზე.

სამაგისტრო ნაშრომის დასკვით ნაწილში შეჯამებულია კვლევის შედეგები, გამოკვეთილი პრობლემური საკითხების დახასიათება და მოცემულია ოჯახში ძალადობის პრობლემის გადაჭრისათვის სამომავლოდ აუცილებლად გადასადგმელი ნაბიჯების საჭიროების დასაბუთება.

Annotation

Beka Kharatishvili

(Peculiarities of detecting, preventing and preventing domestic violence in Georgia)

Domestic violence is physical,psychological, sexual,economic coercion between family members. Violence between spouses is a common case of domestic violence,it is rare for man to be a victim.violence against women is most common. However, vicitims of domestic violence may become minors,an elderly, disables family members. This masters thesis discusses three aspects of Domestic violence. The beginning is about the origin of the crime and it's forms of detection. The second stage of the paper is to stady the issues of response to crime.The legal mechanisms for responding to crime, such as the local as well as the international legal framework, are discussed. The third part of the paper deals with the protection of victims of violence and the legal status of abusers.The fours part Of the last paper of the paper discusses the challenges and mechanisms of the need for crime prevention.The last part of the paper deal with the involvement of the sTate and society in crime prevention. The final part of the master's thesis summarizes the results of the research. Characterizes the identified problematic issues and provides the need to take the necessary steps to solve the problem of domestic violence in the future.

სარჩევი

შესავალი 6

თავი 1 ოჯახში ძალადობის არსი, გამოვლენის ფორმები და თავისებურებები 9

1.1 ძალადობის არსი 9

1.2 ძალადობის გამოვლენის მიზეზები და ხელშემწყობი ფაქტორები 10

1.3 ოჯახური ძალადობა 12

1.4 ოჯახში ძალადობის თეორიები 17

1.5 ოჯახში ძალადობის გამოვლენის ფორმები 20

1.6 ოჯახში ძალადობის გამოვლენის ხელშემწყობი ფაქტორები 21

1.7 აზარტული თამაშები სიმთვრალე და ნარკოტიკი როგორც ძალადობის ხელშემწობი ფაქტორი 24

თავი II. ოჯახში ძალადობა საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით 26

2.1 ოჯახში ძალადობაზე ერონული საკანონმდებლო ჩარჩო 26

2.2 ოჯახში ძალადობაზე საერთაშორისო საკანონმდებლო ჩარჩო 30

თავი III. ოჯახში ძალადობაზე რეაგირების, აღკვეთისა და დაცვის სამართლებრივი მექანიზმები 34

3.1 ოჯახში ძალადობის ფაქტებზე სამართლებრივი რეაგირების მექანიზმები 34

3.1.1 შემაკავებელი ორდერი 35

3.1.2 დამცავი ორდერი 38

3.1.3 ოჯახში ძალადობის წინააღმედგ გამოყენებული სამართლებრივი მექანიზმების სტატისტიკა 40

3.1.4 პოლიციის მოვალეობები ქალის მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე 42

3.2 მსხვერპლის იდენტიფიცირება და მისთვის სტატუსის მინიჭება 44

3.3 მსხვერპლის უფლებები და მისი დაცვის მექანიზმები 45

3.4 მოძალადე, მისი უფლებები და რეაბილიტაციასთან დაკავშირებული თავისებურებები ... 49

თავი IV. ოჯახში ძალადობის პრენეცია - გამოწვევები და ძირითადი მექანიზმები 52

4.1 პრევენციის აუცილებლობა ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მიმართ 52

4. 2 ოჯახში ძალადობის პრევენციის ღონისძიებები სამართალდამცავი და სხვა სტრუქტურების ეფექტიანობის ასამაღლებლად..... 54

4.2.1 მეორეული და ხელახალი ვიქტიმიზაციის პრევენცია/მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორი 56

თავი V. სახელმწიფოსა და საზოგადოების როლი ოჯახში ძალადობის თავიდან აცილების მიმართულებით..... 60

5.1 სახელმწიფო სტრუქტურების როლი..... 60

5.1.1 ადგილობრივი თვითმმართველობების როლი..... 61

5.2 საზოგადოების როლი 62

5.2.1 სამოქალაქო განათლება..... 62

დასკვნა 64

გამოყენებული ლიტერატურა 677-**69**

შესავალი

თემის აქტუალობა. ოჯახში ძალადობა, თავისი არსით, ერთ-ერთი ყველაზე რთული სოციალურ-სამართლებრივი პრობლემაა. იგი სპეციფიკური და გავრცელებული სამართალდარღვევაა, რომელსაც ახასიათებს ლოკალურობა და ჩაკეტილი ხასიათი. გასათვალისწინებელია, რომ კონფლიქტი უშუალოდ შეეხება თანაცხოვრებით ერთმანეთთან დაკავშირებული პირებს. ოჯახში ძალადობის მსხვერპლი, უმეტესწილად, ქალები და ბავშვები არიან. ჩვენ არ შეგვიძლია ვთქვათ, რომ მხოლოდ საქართველო დგას ოჯახში ძალადობის პრობლემის წინაშე. მსგავსი სამართალდარღვევა ხდება მსოფლიოს ყველა ქვეყანაში და მეტიც, თანამედროვე და განვითარებულ ქვეყნებშიც. ეს არის გამოწვევა, რომელსაც არ გააჩნია კულტურული, ეკონომიკური, სოციალური, რელიგური და ტერიტორიული საზღვრები.

ბრძოლა დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის უკვე არსებული საერთო პრაქტიკით ნაკლებ ეფექტურია. ოჯახში ძალადობასთან ბრძოლის მთავარი სპეციფიკურობა მდგომარეობს როგორც მისი გამოვლენის სირთულეში, ასევე მის წინააღმდეგ გამოსაყენებელი იძულებითი ღონისძიებების ეფექტურობაში და მართლზომიერებაში. დანაშაულის გამოვლენის და მასზე ადეკვატური რეაგირების ტვირთი სამართალდამცავი ორგანოების გამოწვევად შეგვიძლია მივიჩნიოთ და აქვე უნდა აღინიშნოს, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია მათი მაღალი კომპეტენცია დანაშაულის გამოვლენის ეფექტურობისთვის და მასზე შემდგომი რეაგირებისთვისთვის.

დანაშაულის სპეციფიკურობა ზოგჯერ აიძულებს სახელმწიფოს, გადადგას რთული, ზოგჯერ არაორდინალური, ნაბიჯები, რათა პრობლემის დაძლევა ან მისი შემცირება იყოს შესაძლებელი. საზოგადოების ცნობიერების ამაღლება, სამართალდამცავი სტურქტურების სწორი ინფორმირება და მათი კომპეტენციის ამაღლება, ასევე სახელმწიფო სტუქტურების შეთანხმებული მოქმედება ხელის შემწყობია ოჯახში ძალადობის წინააღმეგ ბრძოლაში.

შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ ეს არის საზოგადო პრობლემა, რომელიც ერთიან ძალისხმევას საჭიროებს.

შესაძლოა გაჩნდეს შეკითხვა: თუ რატომაა ეს დანაშაული განსხვავებული სხვა ტიპის დანაშაულობებისგან? ამ კითხვაზე პასუხი თანაბრად რთული და იმავდროულად, მარტივია. პირები, რომლებიც თანაცხოვრობენ ერთმანეთთან, ერთმანეთისთვის იქცევიან ხოლმე მსხვერპლად და მოძალადედ. ამ ტიპის დანაშაულში მსხვერპლიც და მოძალადეც განიცდის გარკვეულ სიმძიმეს. ოჯახური ძალადობის გამოვლენა სახელმწიფოსთვის პრიორიტეტი უნდა იყოს, რათა დროული ჩარევით შეძლოს დანაშაულის შეჩერება, ხელი შეუწყოს წარმოქმნილი პრობლემების მოგვარებას და ა.შ.

დანაშაულის გამოვლენა და მასზე რეაგირება ერთი ტიპის მიმართულებაა და არ უნდა დაგვავიწყეს სხვა აუცილებელი მოქმედება, რომელსაც პრევენცია ეწოდება. დანაშუალის პრევენცია, რომელიც დამცავი მექანიზმია საზოგადოებისთვის, რომელიც დღეს თუ არა ხვალ, შეიძლება გახდეს ოჯახში ძალადობის მსხვერპლი. სახელმწიფო ჩართულობა დანაშაულის პრევენციის მიმართულებით უმნიშველოვანესია, რადგან თუკი არ ხერხდება გამოვლენა დანაშაული ბუნებიდან გამომდინარე, ჩვენ უნდა შევძლოთ, თავიდან ავიცილოთ იგი მანამ, სანამ დანაშაული მოხდება.

ოჯახში ძალადობა რთული და კომპლექსური დანაშაულია. მეტწილად ის ფარულად მიმდინარეობით ხასიათდება. სპეციფიურია მსხერპლის დამოკიდებულებაც, რომელიც დოგმებისა და სტიგმების გამო ამჯობინებს, ჩუმად იყოს, დაფაროს არსებული პრობლემა. ოჯახში ძალადობის პრობლემას ჩვენ ვერ მივიჩნევთ ჩვენგან განყენებულად. მასთან ბრძოლა აუცილებელი და შრომატევადია.

კვლევის მიზანი. ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებით შესწავლილ იქნას დანაშაულის არსი, წარმოშვების საფუძვლები და მიზეზები. განხილულ იქნას შიდა სახელმწიფოებრივი და საერთაშორისო საკანონმდებლო რეგულირება. პრაქტიკისა და ლიტერატურის მიმოხილვის საფუძველზე გამოიკვეთოს

პრობლემატური და დადებითი მხარეები. წარმოჩინდეს პრობლემური საკითხები და გაკეთდეს ანალიზი პრობლემის არსისა და მისი გადაჭრის გზების შესახებ.

კვლევის საგანი. სამაგისტრო ნაშრომის კვლევის საგანია ოჯახში ძალადობის, არსის ასევე ოჯახში ძალადობაზე არსებული კანონმდებლობის და მიდგომების განხილვა, კერძოდ დანაშაულის გამოვლენის აღკვეთის და თავიდან აცილების თავისებურებების ანალიზი.

კვლევის მეთოდები. ნაშრომში ძირითადი და მნიშვნელოვანი საკითხების სიღრმისეული შესწავლის მიზნით გამოყენებული იქნება შედარებით-სამართლებრივი, ლოგიკური და სისტემური კვლევის მეთოდები.

თავი I. ოჯახში ძალადობის არსი, გამოვლენის ფორმები და თავისებურებები

1.1 ძალადობის არსი

რა არის ძალადობა? ძალადობა ეს არის ძალის აშკარა ან ფარული გამოყენება ადამიანის ან ადამინთა ჯგუფების მიმართ და მიზნათ ისახავს ისეთი რამის მიღწევას, რასაც ისინი თავიანთი ნებით არ დათანხმდებოდნენ. ძალადობას შეიძლება ვუწოდოთ აგრესია, სასტიკი, მოპყრობა, შეურაცყოფა, იძულება, ხელყოფა, წამება, მუქარა. ძალადობა არის ყოველგვარი ქმედება ან სიტყვა და გამოვლინება, რომელსაც შეუძლია ადამიანი შეურაცხყოს, ზიანი მოუტანოს მას ან შეულახოს კანონით მინიჭებული უფლებები. ადამიანზე ძალადობის დროს ითგრუნება ადამიანის თავისუფალი ნება და გამოვლინება, საფრთხე ექმნება ადამიანის მთავარ მონაპოვარს - თავისუფლებას, რაც ადამიანის განუყოფელი უფლებაა.[1] ძალადობას გააჩნია თავისი სტუქტურა და ის შეიძლება გამოიხატოს პირდაპირი და არაპირდაპირი ფორმით

პირდაპირი ძალადობა - ეს არის მიზანმიმართულად ფიზიკური ძალის ან ძალაუფლებისა გამოყენება საკუთარი თავის, სხვა ადამიანის ან საზოგადოების მიმართ, რასაც შესაძლოა მოჰყვეს ადამიანთა ფიზიკური განადგურება, ჯანმრთელობის დაზიანება, ფსიქო-ემოციური ფონის განადგურება. მან შეიძლება გამოიწვიოს ნორმალური განვითარების შეფერხება ადამიანში და სხვა მრავალი ზიანი წარმოქმნას.

არაპირდაპირი ძალადობა ანუ ირიბი (სტუქტურული) ძალადობა - ის მიმართულია გაღარიბების, სოციალური სიდუხჭირის შექმნისკენ, დემოკრატიის განადგურებისა და სოციალური უთასწორობის ჩამოყალიბებისკენ. **ძალადობა,**

---

[1] ბერიკაშვილი ნ., რა არის ძალადობა? [გენდერული პრობლემატიკა საქართველოში], ქალთა განათლებისა და ინფორმაციის საერთაშორისო ცენტრი, თბ., 2002, გვ. 5.

როგორც უშუალო მოქმედება, ქმნის სამ კომპონენტს. ესენია: დამნაშავე, მსხვერპლი და თავად ქმედება. ძალადობა, თავისი შედეგებით, მოიაზრება, როგორც კრიმინალი. ის მიცავას უკანონო ქმედებათა ყველა სახეს, ქმედებისა და მუქარის გამოხატულებით,[2] რომელსაც, შესაძლოა, მოჰყვეს ქონების განადგურება ან დაზიანება ან კიდევ პიროვნების შეურაცხყოფა ან სიკვდილი.

ძალადობას ყველაზე ფართო და ინტენსიური გამოხატულება აქვს ოჯახში. ოჯახში ძალადობის მსხვერპლი შეიძლება გახდეს ქალი, ბავშვი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი, მოხუცი და იშვიათად, მამაკაცი. ძალადობის ყვეელაზე გავრცელებულ ფორმათ ასახელებენ ქმრის მიერ ქალის სისტემატურ ცემას და არაადამიანურ მოპყრობას. ძალადობის მსხვერპლნი ხშირად ბავშვებიც ხდებიან.[3]

1.2 ძალადობის გამოვლენის მიზეზები და ხელშემწყობი ფაქტორები

ძალადობის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს პირის მხრიდან მასზე დამოკიდებული პირის მიმართ (შესაძლოა, მოძალადე ასეც თვლიდეს) სურვილი, რომ ის დომინირებდეს მასზე, ზეგავლენა მოახდინოს მის ნებაზე და სურვილებზე. ძალადობას, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, აქვს გარკვეული გამოვლინებები, სტუქტურა, მაგრამ ასევე, ძალადობას აქვს მისი წარმოქმნის მიზეზები და ხელშემწყოფი ფაქტორები. ძალადობის მიზეზი შეიძლება ბევრი იყოს, მაგრამ არც ერთი არ არის დამოუკიდებელი. ძალადობას წარმოქმნის მიზეზთა და ხელშემწყობ ფაქტორთა ერთობლიობა. საკითხი იმდენად კომპლექსურია, აუცილებელია, გარკვეულ იყოს ძირითადი მიზეზები, რათა პრობლემის გადაჭრის გზები უფრო ნათელი გახდეს[4]

---

[2] ბერიკაშვილი ნ., რა არის ძალადობა? [გენდერული პრობლემატიკა საქართველოში], ქალთა განათლებისა და ინფორმაციის საერთაშორისო ცენტრი, თბ., 2002, გვ. 11-19;

[3] ყიფშიძე ლ., ძალადობა ოჯახში და ქალთა სოციალური პრობლემები // ალმანახი, №7 [ადამიანის უფლებათა დაცვის სამართალი], საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 1998, გვ. 41;

[4] http://gov.ge/index.php?lang_id=geo&sec_id=405 ძალადობის პრევენციის ეროვნული სტრატეგია, გადამოწმებულია 04.07.2020.

ძალადობის გამოვლინების რისკები გვხვდება სხვადასხვა გარემოში, მათ შორის, იმ პირთა მიმართ, რომლებიც მოძალადესთან იმყოფებიან უთანასწორო მდგომარეობაში. იმ გარემოს, რომელსაც ახასიათებს დაუცველობა და სოციალიზაციის ნაკლებება, მსხვერპლის როლში ამ დროს ხშირად გვევლინება ქალები, ბავშვები, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები, უმწეო მოხუცები. ძალადობის გამოვლენის რისკს აჩენს სწორედ ეს უთანასწორობა. მათზე ძალადობა შეიძლება პირდაპირ და არაპირდაპირაც გამოვლინდეს. ძალადობის გამოვლენის ერთ-ერთ ფაქტორს ასევე წარმოადგენს ქვეყანაში არსებული სოციალური ვითარებაც.

დასაქმების ბაზარზე პრობლემა ახალგაზრდების შრომითი და პოტენციალის რეალიზაციის შესაძლებლობის ნაკლებობა, სახელმწიფო სერვისების დაბალი ხელმისაწვდომობა და სხვა ფაქტორებია. მძიმე სოციალური ფონი ქმნის გარემოს, რომელიც ახდენს ადამიანის ემოციურ და მატერიალურ გადატვირთვას, რაც შემდგომში ძალადობის გავლინებებში ვლინდება. გადაჭრით იმის თქმა, რომ ადამიანთა მძიმე სოციალურ-ეკომონიკური ფონი, აპრიორი, ძალადობის წარმოქმნელია, ასეთი განსაზღვრა არ იქნება ბოლომდე მართებული. როგორც გამომწვევი მიზეზი, რა თქმა უნდა, არის, მაგრამ არა ყველა შემთხვევაში.

ზოგიერთი კვლევა აჩვენებს, რომ პირები, რომლებსაც არა აქვთ მსგავსი პრობლემა, არიან ძალადობის მსხვერპლნიც და ზოგიერთი მათგანი მოძალადეც. შესაბამისად, თანაბრად არის სამუშაო სახელწიფოსგან საზოგადოების ყველა ფენაში, რათა ძალადობა მინიმუმამდე იქნას დაყვანილი. მოგეხსენებათ, ძალადობა ყველა საზოგადოებაში გვხვდება. ის ბევრი ქვეყნის კულტურის ნაწილიც კი არის.

ძალადობის ხელშემწყობი ფაქტორი, უპირველესად, არის გენდერული უთანასწორობა. მაგალითად, მაშინ, როდესაც ქალთა უფლებები დარღვეულია, საპირისპირო სქესის მიმართ არ არის დაცული გენდერული თანასწორობა. ეს, რა თქმა უნდა, ხელს უწობს ძალადობის გამოვლინებას. ძალადობის გამოვლინების ხელშემწყობი ფაქტორი ხშირად დამოკიდებულებები ხდება - დამოკიდებულება

ნარკოტიკზე, ალკოჰოლზე, აზარტულ თამაშებზე, ასევე ინტერნეტზე. მათი ზეგავლენით ხდება, რომ პირი ავლებს ძალადობას სხვის მიმართ. ძალადობის ხელშეწყობაზე ასევე მოქმდებს საზოგადოებაში მყოფი ინდივიდებიც. ისინი მათი ნაკლები ჩართულობით საზოგადოებრივ ცხოვრებაში და მოქალაქეობრივი იდეების ნაკლებობით ხელს უწყობენ ძალადობის გამოვლენას. [5]

1.3 ოჯახური ძალადობა

ოჯახში ძალადობა - ეს არის ერთ-ერთი ყველაზე რთული ძალადობის ფორმა, რომელიც არსებობს საზოგადოების ყველა ფენაში. ოჯახში ძალადობის პრობლემა არ გახლავთ მხოლოდ საქართველოს წინაშე მდგარი გამოწვევა. ის არსებობს მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში და მყარი ფესვები აქვს გადგმული საზოგადოებაში. „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლი განმარტავს ოჯახში ძალადობის დეფინიციას. კანონის მიხედვით, ოჯახში ძალადობა გულისხმობს ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევას უგულებელყოფით ან/და ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, სექსუალური ძალადობით ან იძულებით.[6]

ოჯახში ძალადობის საკითხი დიდი ხნის მანძილზე საზოგადოებაში ტაბუდადებული იყო. ითვლებოდა, რომ ოჯახურ ძალადობაში ჩარევა სხვის პირად პირად ცხოვრებაში ჩარევას ნიშნავდა. ამიტომ საზოგადება თავს არიდებდა ოჯახური ძალადობის საკითს. ბოლო ათწლეულების განმავლობაში ქვეყანაში შექმნილმა მძიმე სოციალურმა ფონმა ხელი შეუწყო ოჯახური

---

[5] http://gov.ge/index.php?lang_id=geo&sec_id=405 ძალადობის პრევენციის ეროვნული სტრატეგია გადამოწმებულია 04.07.2020, გვ 8-10;

[6] საქართველოს კანონი „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“, გადამოწმებულია 04.07.2020

ძალადობის გამოვლენას.[7] ის გამოვლინდა საზოგადოების თითქმის ყველა ფენაში. შემდგომში ამ ფაქტმა იძულებული გახადა ხალხი, რომ ყურადღება მიექციათ ძალადობის პრობლემაზე. ოჯახში ძალადობის პრობლემა მხოლოდ თითოეული მოქალაქის პრობლემად არ შეიძლება იქნას აღქმული, რადგან ამ ტიპის დანაშაულის ლოკალურად აღქმა დაუშვებელია. ის ვრცელდება და აზიანებს საზოგადოების ჯანსაღ და ღირსეულ განვითარებას.

ოჯახში ძალადობა არსით გულისხმოს ადამიანის პირადი უფლებებისა და თავისუფლებების შელახვას. ამ ტიპის ძალადობას, ისევე როგორც ნებისმიერ ძალადობას, ჰყავს მოძალადე და მსხვერპლი. მსხვერპლი ოჯახური ძალადობის ოჯახის ნებისმიერი წევრი შეიძლება გახდეს, მაგრამ როგორც კვლევები ცხადყობს, ყველაზე მოწყვლადი ოჯახურ ძალადობაში ქალები არიან. კომფლიქტი მათ არა მხოლოდ ქმრებთან, არამედ, კვლევების მიხედვით, დედამთილებთანაც ხშირად მოზდით ხოლმე.[8]

ქალების ჩაგვრას ოჯახში აქვს გენდერული საფუძვლები. ზოგიერთ საზოგადოებაში, მათ შორის, საქართველოში, ითვლებოდა და ხშირ შემთხვევაში დღესაც ითვლება, რომ ქალები ვალდებულები არიან, მოითმინონ და გაუძლონ ყველა დაბრკოლებასა და პრობლემას, რაც შეიძლება ოჯახში წარმოიქმნას. თითქოს საზოგადოება მათ ავალდებულებს, აიტანონ ნებისმიერი რამ, რაც შეიძლება მათ გადახდეს.

ამ ტიპის ზეწოლა, რთული სათქმელია, რომ დღესდღეობით, ისევ აქტუალურია, მაგრამ მაინც არის შემორჩენილი, რადგან, როგორც წესი, ოჯახში ძალადობა კულტურის ნაწილი ხდება. ამ მრივ არც საქართველოში არ გვაქვს განსხვავებული მდგომარეობა. დროდადრო შეიცვალა შეხედულელები, მაგრამ პრობლემა ისევ გადაუჭრელი რჩება. ოჯახში ძალადობის პრობლემას გვერდი ვერ აუარა თითქმის ვერც ერთმა განვითარებულმა და წამყვანმა ქვეყანამ. ეს

---

[7] გაბრიჩიძე ნ., საოჯახო კონფლიქტის შედეგად ჩადენილი ძალადობითი დანაშაულობა, გამომც. „ინტელექტი“, თბ., 2004, გვ. 13;

[8] „ძალადობა ოჯახში – გენდერული დამოკიდებულებების კვლევა“, 2002, „ოჯახური კონფლიქტების გენდერული ასპექტები“, 2003, „ოჯახური ძალადობა და საზოგადოებრივი აზრი“, არასამთავრობო ორგანიზაცია „სახლის“ კვლევები, 2004.

პრობლემა ყველა წევრი ქვეყნის და საზოგადოების ყველა ფენის განუყოფელ ნაწილად არის ქცეული, რაც, რა თქმა უნდა, სამწუხაროა და საჭიროებს უფრო მეტი ძალისხმევით პრობლემასთან ბრძოლას.

ოჯახში ძალადობას, ისევე, როგორც ნებისმიერი ტიპის ძალადობას, ახასიათებს ძალთა ასიმეტრია,[9] ერთ მხარეს - მოძალადე, ხოლო მერე მხარეს კი მსხვერპლი. მოძალადეს ამ შემთხვევაშიც იგივე სურვილი ამოძრავებს მსხვერპლის მიმართ, როგორც სხვა ტიპის ძალადობებში. მისი სურვილია, დაიმორჩილოს მსხვერპლი, ფლობდეს მასზე ფსიქოლოგიურ ფიზიკურ მატერიალურ ინტელექტუალურ და ემოციურ უპირატესობას.[10] მოძალადე არის ოჯახის წევრი, რომელიც არღვევს ოჯახის სხვა წევრის კონსტიტუციურ უფლებებსა და თავისუფლებებს ფსიქოლოგიური ზეწოლით, ძალადობით ან იძულებით.

მოძალადედ მიიჩნევა აგრეთვე ოჯახის წევრი ან ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც საზოგადოებრივ თუ პირად ცხოვრებაში ქალის მიმართ გენდერული ნიშნით ახორციელებს ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ, სექსუალურ ან ეკონომიკურ ძალადობას ან იძულებას[11]. მეორე მხარე ანუ მსხვერპლი (სავარაუდო) არის პირი, რომლის უფლებებიც დაირღვა ძალადობით ან იძულებით. ოჯახში ძალადობა თავისი არსით არის ადამიანის (მსხვერპლის) პირადი უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვა, მისი განადგურება ძალის გამოყენებით. ამ ტიპის ძალადობას ახასიათებს განსაკუთრებით დიდი ზიანი. ეს შეიძლება იყოს ფიზიკური, ეკონომიკური ფსიქოლოგიური. ფიზიკური ზიანის განსაზღვრა არ არის რთული, მაგრამ რთულია განისაზღვროს ფსიქოლოგიური ზიანი. ამ ტიპის ძალადობას შეუძლია მსხვერპლის ფსიქიკის იმ დონეზე განადურება, რომ

---

[9]ოჯახში ძალადობის დაცვის ეფექტიანობის საქართველოს აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებული კვლევა https://sao.ge/files/auditi/auditis-angarishebi/2019/ojaxshi_dzaladobis_dacvis_efeqtianobis_auditis_angarishi.pdf გადამოწმებულია 04.07.2020

[10] Preventing and combating domesic violence against women. A learning resource for training law-enforcement and justice officers (CoE), 2016. გადამოწმებულია 04.07.2020

[11] საქართველოს კანონი „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“, მუხ. 4.

შეიძლება მომავალში შეაფერხოს მისი განვითარების და სრულფასოვანი ცხოვრების შესაძლებლობა.

გასათვალისწინებელია, რომ ოჯახში ძალადობა არ არის ერჯერადი ქმედება. ის გამოირჩევა ციკლური ბუნებით, ახასიათებს ზრდის ტენდენცია, რაც შემდეგ გადაიზრდება ძალადობის გამოვლენის უფრო უხეშ ფორმებში. ბევრი სოციოლოგი მიიჩნევს, რომ ძალადობის წარმოქმნას ხელს უწყობს აღზრდის არასწორი ჩვეულებები. მაგალითად, თუკი აღზრდისას ვაჟი ხედავს, როგორ ცემს მამა დედას, მან შესაძლოა, როცა გაიზრდება, იგივე გაიმეოროს მის შექმნის ოჯახში.[12]

საკითხის სიმწვავის მიუხედავად, ოჯახში ძალადობას ახასიათებს მსხვერპლის მხრიდან ქმედებათა ისეთი ერთობლიობა, რომელიც ნორმალური საზოგადოებისთვის ყველა წესის მიხედვით მიუღებელი უნდა იყოს. რა იგულისხმება ამაში? ხშირ შემთხვევაში თვით ძალადობის მსხვერპლები უარს ამბობენ, ღიად და საჯაროდ ისაუბრონ ძალადობის ფაქტზე, მათ ერთგვარი უნდობლობა აქვთ სამართალდამცავი ორგანოების მიმართ და არ სურთ ისინი ჩარიონ პრობლემის გადაწყვეტაში, რადგან მათ უმეტესობას ეს მიაჩნია ოჯახის ღალატად.

არც ის არის იშვიათი, რომ მსხვერპს ადანაშაულებენ მისი ნათესავები ძალადობის გამოწვევაში. ერთის მხრის, მსხვერპს რცხვენია განცდილზე საუბარი, ასევე არ ცდილობს, საქმის კურსში ჩააყენოს სამართლადამცავები და მეორეს მხრივ, მის ირგვლის საზოგადოება ზოგჯერ შემგუებლური ხდება. შესაბამისად, ყოველივე ერთად ისევ მსხვერპლს უბრუნდება ნეგატიურად და რჩება პრობლემასთან მარტო და განწირული შემდგომი ძალადობისთვის. ჯანსაღი საზოგადოების კონტროლის მექანიზმების და სამართალდამცავი ორგანოების სწორი ჩართულობა ოჯახში დანაშაულის გამოვლენის კუთხით ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია, რადგან მსხვერპლი არ დარჩეს მიტოვებული და

---

[12] გოგიბერიძე გ., ფერაძე მ., მიქანაძე გ., საკაშვილი ნ., სახელმძღვანელო პოლიციის მუშაკთა ტრენერებისათვის, მესამე გამოცემა, თბ. 2012, გვ. 13.

მისი ბედი იყოს ბუნდოვანი. ასეთ შემთხვევაში პრობლემა გარღმავდება და შემდგომი ესკალაცია გარდაუვალი გახდება.

ოჯახში ძალადობას დამახასიათებელი ერთ-ერთი ნიშანი კიდევ გახლავთ ეკონომიკური ფაქტორი, რაც თავისუფლად განიხილება, როგორც ნეგატიური ასპექტი. ოჯახში ძალადობა უპირველესად ადამიანის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულია. ეს გასაგებია, მაგრამ მას უშუალო სიცოცლის ხელყოფის ან ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური ზიანის მოხდენის გარდა, შეუძლია ეკონომიკური ზიანის მოტანა,[13] პირდაპირი და არაპირდაპირი დანახარჯების წარმოქმნა.

პირდაპირი დანახარჯი გულისხმობს სამედიცინო მომსახურებაზე გაწეულ ხარჯებს, რაც მოჰყვა მსხვერპლის ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ დაზიანებას, ასევე მის თავშესაფარში ყოფნას და სასამართლო ხარჯებს და ა.შ. ხოლო რაც შეეხება არაპირდაპირ ზიანს, ის უკავშირდება ძალადობის შემდგომ გართულებებს, უპირველესად მსხვერპლის მდგომარეობის გართულებას. შეიძლება ის გახდეს დამოკიდებული სხვადასხვა მავნე ნივთიერებებზე, ალკოჰოლზე, ნარკოტიკზე და ასევე აზარტულ თამაშებზე.

ოჯახში მოძალადეს ახასიათებს მსხვერპლის საკუთარი მანიპულაციების ობიექტად გადაქცევა. იგი ცდილობს მსხვერპლის დამორჩილებას. საყურადღებოა, რომ ოჯახში ძალადობა მორჩილებაზე აგებული ურთიერთობების მთლიანი კომპლექსია, სადაც ოჯახის ერთმა წევრმა იცის, რომ იგი არ არის დაზღვეული, ოჯახის მეორე წევრის მხრიდან გახდეს ძალადობის მსხვერპლი.

---

[13] გოგობერიძე გ., ფერაძე მ., მიქანაძე გ., სააკაშვილი ნ., სახელმძღვანელო პოლიციის მუშაკთა ტრენერებისათვის - „ოჯახში ძალადობა და მის წინააღმდეგ მოქმედი მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით“, თბ., 2012.

1.4 ოჯახში ძალადობის თეორიები

ოჯახში ძალადობის მრავალი თეორია არსებობს. თეორიების არსებობა ოჯახური ძალადობის მიზეზებისადმი მიდგომების ჩამოყალიბებისკენაა მიმართული, რათა საზოგადოებას დაეხმაროს ძალადობის მიმართ უფრო ეფექტური საპასუხო ზომების ჩამოყალიბებაში.

1970-იან წლებში ამერიკის შეერთებულ შტატებში დაიწყო ნაცემ ქალთა მოძრაობა[14], იმის თაობაზე, თუ რატომ სცემენ მამაკაცები ქალებს, მათი ჩამოაყალიბეს თეორია, რომელიც დაეფუძნა ფსიქოპათოლოგიას.[15] ამ თეორიის მიხედვით, მამაკაცები, რომლებიც თავიანთ ცოლებს ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებდნენ, ფსიქიკურად დაავადებულნი იყვნენ და მათი განკურნება შეიძლებოდა წამლების ან ფსიქიატრიული მკურნალობის საშუალებით. მაგრამ მკვლევარებმა დაადგინეს, რომ ოჯახური ძალადობის ჩამდენთა ყოფაქცევა არ შეესაბამებოდა ფსიქიკურად დაავადებული პიროვნებების მახასიათებლებს. მათი დაკვირვებით, მოძალადეები თავს ესხმიან მხოლოდ მათ უახლოეს პარტნიორებს ან ცოლებს, ხოლო ფსიქიკურად დაავადებული ადამიანები, ძალადობას მხოლოდ თავიანთი უახლოესი პარტნიორების მიმართ არ ავლენენ.

მკვლევარები ამტკიცებდნენ, რომ მამაკაცები იმიტომ სცემდნენ თავიანთ ცოლებს, რომ მათ ეს ძალადობა ბავშვობაში თავიანთ ოჯახებში ისწავლეს, ხოლო ქალები იმიტომ ეძებდნენ მოძალადე მამაკაცებს, რომ მათ ნანახი ჰქონდათ, თუ როგორ სცემდა მამა დედას. ამ თეორიას შემდგომში ეწოდა შესწავლილი ქცევის თეორია ოჯახური ძალადობის აღკვეთის ფონდის მიერ ამ ბოლო დროს ჩატარებულმა გამოკვლევამ ცხადყო, რომ ქალები, რომლებიც ბავშვობაში

---

[14] გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UNWOMEN) http://www. unwomen.org

[15] The Battered Women Movement and the Creation of the Wife Beating Problem Kathleen J. Tierney *Social Problems* Vol. 29, No. 3 (Feb., 1982), pp. 207-220 გადამოწმებულია 04.07.2020

ფიზიკური და სექსუალური ძალადობის მსხვერპლნი იყვნენ, შესაძლებელია, რომ ზრდასრულ ასაკშიც გახდნენ ძალადობის მსხვერპლნი.

ეს თეორია მჭიდროდ კავშირშია სხვადასხვა თეორიებთან, რომელთა მიხედვითაც, ძალადობა წარმოადგენს კონტროლის დაკარგვის შედეგს. ბევრის აზრით, მამაკაცები მაშინ არიან მოძალადენი, როცა ისინი ნასვამები არიან, რადგან ალკოჰოლი მათ კონტროლს აკარგვინებს. ზოგიერთი კი ამტკიცებდნენ, რომ ძალადობა წარმოადგენდა მამაკაცთა მხრიდან რისხვისა და იმედგაცრუების გაკონტროლების უნარის არქონას. კონტროლის დაკარგვის თეორია წინააღმდეგობაში მოდის მოძალადის საქციელთან.[16] როგორც წესი, მოძალადე ძალადობას წარმართავს სიფრთხილით განსაზღვრული ადამიანების მიმართ. მათ განსაზღვრული აქვთ დრო და ადგილი.

მოძალადეები თითქოს რაღაც დადგენილი წესებით მოქმედებენ. ზოგჯერ ისინი პარტნიორებს უფრო ხშირად მაშინ სცემენ, როცა მარტონი არიან და ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ ფიზიკური ძალადობის ნიშნები შესამჩნევი არ დატოვონ. მოძალადეები ფრთხილად ირჩევენ თავიანთ ტაქტიკას. ზოგიერთი მადგანი მუქარას იყენებს, ზოგი ბავშვებს ემუქრება, ზოგიერთი კი საკუთრებას ანადგურებს. ამით ისინი არჩევანს აკეთებენ, რას უზამენ მსხვერპლს და რას არა. მაშინაც კი, როცა ისინი ამტკიცებენ, რომ სრულ გონებაზე არ არიან ან საკუთარ თავზე კონტროლი დაკარგეს, სინამდვილეში აკონტროლებენ საქციელს. სინამდვილეში, აგრესიულობის ზრდასთან ერთად, მოძალადეების უმრავლესობა უკეთესად აკონტროლებს თავს და ძალადობის გამოვლენით უფრო მშვიდდება.

„შეცნობილი უმწეობის“ სახელით არის ცნობილი თეორია, რომელიც ძალიან პოპულარული გახდა.

---

[16] Loss of Self-Control, Dual-Process Theories and Provocation 88 Fordham Law Review 1815 (2020) Washington & Lee Legal Studies Paper გადამოწმებულია 04.07.2020

ამერიკელმა ფსიქოლოგმა ლეონორ ვოლკერმა შეისწავლა იმ ქალთა ყოფაქცევა, რომლებიც თანაცხოვრების გაგრძელებას არჩევენ მოძალადე ქმრებთან. ვალკერის ჰიპოთეზის თანახმად, ქალების გადაწყვეტილება, გააგრძელონ ცხოვრება მოძალადე ქმრებთან ერთად, იმაში მდგომარეობს, რომ მუდმივი შეურაცხყოფა მათ ართმევს გაყრისათვის საჭირო ნებისყოფას. არსებობს მრავალი სოციალური, ეკონომიური და კულტურული მიზეზი, რომლის გამოც ქალმა შესაძლოა არჩიოს მოძალადე ქმართან დარჩენა. ქალს ხშირად ეშინია მოძალადე ქმრის მხრიდან ანგარიშსწორების. ასევე, ბავშვების მიმართ ან შესაძლოა არ აქვს საკუთარი თავის ან ბავშვების ფინანსური უზრუნველყოფის საშუალება. „ძალადობის ციკლი“ არის თეორია, რომელმაც ამერიკის შეერთებულ შტატებში პოპულარობა მოიპოვა. ეს თეორია წარმოდგენაა, რომ თითქოს მამაკაცები არ გამოხატავდნენ რისხვასა და იმედგაცრუებას იმიტომ, რომ მათ ასწავლიდნენ, გრძნობები არ გამოევლინათ.

მამაკაცის დაძაბულობა იზრდებოდა მანამ, სანამ ის აფეთქდებოდა და მოძალადე გახდებოდა. დაძაბულობა განიტვირთებოდა და წყვილი ტკბებოდა „თაფლობის თვის“ პერიოდით, რომლის განმავლობაშიც ქმარი სინანულით აღსავსე იყო. ქალსაც და კაცსაც ბრალი მიუძღვის ცოლ-ქმრული ურთიერთობისას წარმოშობილ ძალადობაში. აღნიშნული მოდელის თანახმად, ან ორმხრივია ძალადობა ან ცოლი იწვევს ქმარს ზღვარგადასული კამათით, რაც შემდეგ საფუძველია ძალადობრივი რეაქციისა. ქალის საქციელი იწვევს მამაკაცში დაძაბულობის ზრდას მანამ, სანამ მამაკაცი აფეთქდება და გამოავლენს მრისხანებას. ამას კი შესაძლოა შემდეგ მოჰყვეს ე.წ. „თაფლობის თვის“ პერიოდი. მაგრამ ნებისმიერი თეორია, რომლის მიხედვითაც, ძალადობა მეორე პარტნიორის მხრიდან პროვოცირებული რეაქცის გამოვლენა იგის სხვა არაფერია, თუ არა მსხვერპლის დადანაშაულების კიდევ ერთი ფორმა და სურვილი.[17]

---

[17] დამხმარე სახელმძღვანელო პოლიციელთათვის ოჯახში ძალადობის საკითხებზე, ავტორთა ჯგუფი, კ. ბოჭორიშვილი, მ. მესხი, ქ. ხუციშვილი, მ. ფერაძე, ნ. საკაშვილი, ა. აბაშიძე, ნ. შავლაყაძე, ნ. ზაზაშვილი, თბ., 2010, გვ. 11.

1.5 ოჯახში ძალადობის გამოვლენის ფორმები

საქართველოს კანონის „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“[18] განმარტავს ოჯახში ძალადობის გამოვლინების ფორმებს. კანონის მიზნებისთვის განმარტებულია გამოვლენის ფომრები. ეს სპეციალური კანონი ეფუძნება უმნიშვნელოვანეს დოკუმენტს, რომელიც ცნობილია, როგორც „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია (სტამბოლის კონვენცია)[19]. „ოჯახში ძალადობა გულისხმობს ფიზიკური, სექსუალური, ფსიქოლოგიური თუ ეკონომიკური ძალადობის ყველა აქტს, რომელიც ხდება ოჯახში თუ შინაურ წრეში ან ყოფილ, ან ამჟამინდელ მეუღლეებსა თუ პარტნიორებს შორის, მიუხედავად იმისა, დამნაშავე პირი მსხვერპლთან ერთად ერთ საცხოვრებელში ცხოვრობს თუ არა.“[20]

ფიზიკური ძალადობა - ცემა, წამება, ჯანმრთელობის დაზიანება, თავისუფლების უკანონო აღკვეთა ან სხვა ისეთი მოქმედება, რომელიც იწვევს ფიზიკურ ტკივილს ან ტანჯვას; ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობა, რაც იწვევს მსხვერპლის ჯანმრთელობის დაზიანებას ან სიკვდილს;

ფსიქოლოგიური ძალადობა - შეურაცხყოფა, შანტაჟი, დამცირება, მუქარა ან სხვა ისეთი მოქმედება, რომელიც იწვევს ადამიანის პატივისა და ღირსების შელახვას;

---

[18] https://matsne.gov.ge/ka/document/view/26422?publication=17 გადამოწმებულია 04.07.2020

[19] წინამდებარე „სტამბოლის კონვენცია“ ძალაში შევიდა 2014 წლის 1-ლ აგვისტოს. საქართველომ აღნიშნულ კონვენციას ხელი მოაწერა 2014 წლის 19 ივნისს, ხოლო მისი რატიფიცირება მოახდინა 2017 წლის 5 აპრილის #543-IIს დადგენილებით (ძალაშია 2017 წლის 1-ლი სექტემბრიდან);

[20] „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციის მე-3 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი.

იძულება - ადამიანის ფიზიკური ან ფსიქოლოგიური იძულება, შეასრულოს ან არ შეასრულოს მოქმედება, რომლის განხორციელება ან რომლისგან თავის შეკავება მისი უფლებაა ანდა საკუთარ თავზე განიცადოს თავისი ნება-სურვილის საწინააღმდეგო ზემოქმედება;

სექსუალური ძალადობა - სქესობრივი კავშირი ძალადობით, ძალადობის მუქარით ან მსხვერპლის უმწეობის გამოყენებით; სქესობრივი კავშირი ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედება ან გარყვნილი ქმედება არასრულწლოვნის მიმართ;

ეკონომიკური ძალადობა - ქმედება, რომელიც იწვევს საკვებით, საცხოვრებელი და ნორმალური განვითარების სხვა პირობებით უზრუნველყოფის, საკუთრებისა და შრომის უფლებების განხორციელების, აგრეთვე თანასაკუთრებაში არსებული ქონებით სარგებლობისა და კუთვნილი წილის განკარგვის უფლების შეზღუდვას.

1.6 ოჯახში ძალადობის გამოვლენის ხელშემწყობი ფაქტორები

ოჯახში ძალადობის გამოვლენას გააჩნია სხვადასხვა გამომწვევი ფაქტორები და მიზეზები, მაგრამ უმთავრესი მაინც არის მოძალადის მიზანი, ოჯახის წევრზე მოიპოვოს ძალაუფლება. ძალადობის ხელშემწყოფი ფაქტორები შემდგომში განსაზღვრას ძალადობის ხარისხს და ის წარმოადგენს ძალადობის მაპროვოცირებელ გარემოებას. ისინი შეიძლება დაიყოს რამდენიმე ნაწილად, მაგალითად, კულტურული, ეკონომიკური, სამართლებრივი თუ პოლიტიკური.

საერთაშორისო კანონდებლობა თანხმდება, რომ ოჯახში ძალადობას საფუძვლად უდევს გენდერული უთანასწორობა მაშინ, როდესაც საუბარი გვაქვს ქალთა მიმართ ძალადობაზე ოჯახში. გენდერული უთანასწორობა მამაკაცის სასარგებლოდ, რა თქმა უნდა, უნდა მივიჩნიოთ ერთ-ერთ გამომწვევ ფაქტორად, რადგან უთანასწორობა იმთავითვე ქმნის რისკებს ძალადობისას. არსებობს მოსაზრებები, რომ ქალისა და მამაკაცის წინასწარ განსაზღვრული როლები

ხელშემწყობი ფაქტორია. ამაში იგულისხმება ტრადიციული წარმოდგენები, რომ ოჯახში მამაკაცი დომინანატ როლს თამაშობს, მამაკაცი ოჯახში მესაკუთრეს წარმოადგენს. შემდეგ მიზეზად გვევლინება ნაადრევი და იძულებითი ქორწინება. ეს უკანასკნელი მეტად მძიმე ფაქტორია, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ოჯახის შექმნა ხდება იძულებით და ქალის ან თუნდაც მამაკაცის ნების გარეშე ამის წარმოდგენაც კი დაუშვებელია, მაგრამ რეალურ ცხოვრებაში ასეთი შეიძლება ბევრი შეგხვდეს.[21]

ნაადრები ქორწინების შედეგად შეიძლება მივიღოთ ერთმანეთისადმი შეუგუებლობა, ჩამოყალიბდეს და წყვილებს შორის ურთიერობაში გაჩნდეს ბზარი, რამაც შემდგომში შესაძლოა საფუძველი დაუდოს ოჯახში ძალადობის წარმოჩინებას.[22] ნაადრევმა ქორწინებამ შესაძლოა ქალი გახადოს ფინანსურად დამოკიდებული მამაკაცის მიმართ, რადგან მას არ ექნება შესაძლებლობა, ოჯახური მდგომარეობიდან გამომდინარე, მიიღოს დროული განათლება და რაც მთავარია, სრულფასონი.

განათლების და დამოუკიდებელი კარიერის მიღმა დარჩენილმა ნაადრევად ან იძულებით ქორწინებაში მყოფმა ქალმა შესაძლოა მის მიმართ ძალადობის განხორციელების დროს იმის ძალისხმევაც კი ვერ მოიძიოს, რომ პრობლემის შესახებ გააგებინოს სხვა ადამიანს, რადგან ასეთი ქალების უმრავლესობას ეშინია ეკონომიკური სიდუხჭირის, ამჯობინებს ყველაფრის ფასად მოითმინოს ძალადობა.[23]

ზოგადად, ქალის დამოუკიდებლობა, რაშიც იგულიხმება მისი განათლება, შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანობა, მნიშვნელოვანი საკითხია. ეს უქმნის მას დამოუკიდებლობის მაღალ ხარისხს და აყალიბებს მასში გარკვეულ დაცულობის შეგრძნებას. კვლევებმა აჩვევა, რომ ოჯახში ძალადობის მსხვერპლი

---

[21] Overarching Principles - Domestic Abuse Definitive Guideline, Sentencing Council, UK, 2018, p.3. გადამოწმებულია 04.07.2020;

[22] Child marriage and intimate partner violence: a comparative study of 34 countries *International Journal of Epidemiology*, Volume 46, Issue 2, April 2017, Pages 662–675;

[23] http://gov.ge/files/405_45784_336176_%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%92%E1%83%98%E1%83%90.pdf

ქალების 30 პროცენტზე მეტმა, მას შემდეგ, რაც ძალადობის შესახებ აცნობა სამართალდამცავებს და დარჩა ოჯახის მიღმა, უკვე ვეღარ შეძლო სამსახურის მოძიება იმ მიზეზით, რომ მათ არ შეეძლოთ დასაქმების ბაზარზე კონკურენციის გაწევა. ეს გამოიწვია იმან, რომ მათ პირველ ეტაპზე არ ჰქონდათ სრულფასოვანი განათლების მიღების შესაძლებლობა და როცა უკვე გაუსაძლისი გახდა ოჯახში შექმნილი პრობლემის გაძლება, აიმაღლეს ხმა, მაგრამ მალევე სხვა პრობლემის წინაშე დადგნენ.

რახან ვახსენეთ სამართალდამცავი ორგანოები, აქვე უნდა ავღნიშოთ, რომ ისინიც შეიძლება გახდნენ მიზეზი ოჯახში ძალადობის გამოვლენისა, რადგან მათი კომპეტენცია და დამოკიდებულება ოჯახში ძალადობაზე უნდა იყოს მაღალი მისი გამოვლენის და შემდგომი რეაგირების თვალსაზრისით. სამართალდამცავთა ცნობიერების დაბალმა დონემ შესაძლოა წარმოქმნას არარელევანტური მოქმედებები და ძალადობის აღკვეთის მაგივრად მივიღოთ მისი შემგომი დამატებით გამოწვევაც კი.

რახან შევეხეთ სახელმწიფოს წარმომადგენლებს, აქვე უნდა ვთქვათ, რომ სახელმწიფო სტრუქტურებში, ასევე პოლიტიკაში, ქალთა ნაკლები ჩართულობა, ასევე ნაკლები ჩართულობა ბიზნეში, სამართალდამცავ ორგანოებში განსაკუთრებით მაღალ თანამდებობებზე მათი არყოფნა ზოგადად ამძიმებს და ხელის შემწყობ ფაქტორებს ქმნის ოჯახში ძალადობის, ასევე ზოგად ძალადობრივ ფონთან მიმართებაში, რადგან, ამ შეთხვევაში, დაცული გენდერული ბალანსი მეტი სიკეთი მომტანია, ვიდრე მისი სრული არარსებობა.

ზოგიერთი მკვლევარის მოსაზრებით, პირის მიმართ წარსულში განცდილი ძალადობა (ოჯახში ან სააღმზრდელო დაწესებულებაში) შესაძლოა გახდეს მიზეზი იმისა, რომ ეს პირები თავად გახდნენ მოძალადეები. ზოგადად, ძალადობის არასწორმა გაგებამაც შეიძლება წარმოქმნას ძალადობა, მაგალითად, როდესაც ძალადობა არის ოჯახში პრობლემის გადაჭრის გზა და ეს ნორმად ითვლება. ამ შემთხვევაში რთულია ამ პრობლემას დაუპირისპირდე.

ზოგიერთი მშობელი ნორმალურად თვლის ძალადობის რაღაც ფორმებს და მეტიც, შეიძლება ძალადობას აღიარებდეს აღზრდის გარკვეულ შესაძლებობადაც. ოჯახში ძალადობის მიზანი, როგორც დასაწყისში ვახსენეთ, კონტროლის მოპოვეებაა. უპირველესად, შეიძლება ფინანსური სიდუხჭირე, ქვეყანაში არსებული სოციალური ფონი და სხვა მრავალიც ჩავთვალოთ მიზეზად, მაგრამ ძალადობის გამართლებას არც არავინ შეეცდება და არც აქვს გამართლება. თუმცა, ცუდია, როცა აქვს ხელშეწყობა.

ხელშემწყობებში იგულისხმება საზოგადოების ის ფენები, რომლებიც გულგრული დამოკიდებულებებით და გაუაზრებელი ქმედებებით ხელის შემწყობები არიან ძალადობისა მაშინ, როდესაც გაიგებენ ოჯახში ძალადობის შესახებ და გულთან არ მიიტანენ და არ განაცხადებენ პოლიციაში, რათა დაეხმარნონ სახელმწიფოს, აღმოფხვრას ძალადობა ან მეტიც, საერთოდაც ჩათვალონ, რომ ისეთი არაფერი ხდება. [24]

1.7 აზარტული თამაშები, სიმთვრალე და ნარკოტიკი, როგორც ძალადობის ხელშემწობი ფაქტორი

ზოგადად რაიმესადმი დამოკიდებულება, თუ გინდ ეს იყოს ნაკლებად დამაზიანებელი ჯანმთელობისათვის, მაინც იწვევს „დამოკიდებულებას“ ანუ რაღაცის მიმართ დამოკიდებულება მისი შესაძლო ვერმიღების და ვერ დაუფლების დროს ადამიანისთვის შეიძლება განსაცდელად იქცეს. მაშინ, როდესად პირი დამოკიდებულია ნარკოტიკზე ან ალკოჰოლზე, მისი მიზანი მხოლოდ და მხოლოდ ამ ნივთიერებიბის დროული მიღებაა. მაშინ როდესაც პირი მიდრეკილია აზარტული თამაშებისადმი, მისთვისაც უიმისობა

[24] https://emc.org.ge/uploads/products/pdf/Domestic-violence-based-on-SOGI-final-2018_1544786801.pdf

პრობლემაა, მაგრამ რა კავშირშია ეს ოჯახში ძალადობასთან? სწორედაც რომ კავშირშია და ეს კავშირი არ არის მარტივი ფორმის.[25]

მსგავსი დამოკიდებულებების პრობლემა ძირითადად მამაკაცებს ახასიათებს. ნარკოტიკებისა და ჭარბი ალკოჰოლის მოხმარება მოქმედებს გონებაზე და აზიანებს მის ჯანსაღ უჯრედებს. ყველა ადამიანს არ აქვს ერთნაირად მყარი ფსიქიკა. ნივთიერებათა ჭარბი ზემოქმედება სპობს ადამიანის გონებას. არამყარი ფსიქიკის მქონე ადამიანი თავისუფლად შეიძლება გახდეს მოძალადე მან შეიძლება მცირედი სტრესიც კი ვერ გადაიტანოს და მიმართოს ძალადობას.

თავშესაფარში მცხოვრები ქალი, რომელიც ძალადობის მსხვერპლია, ყველაზე ხშირად ძალადობის მიზეზად სწორედ ნარკოტიკს და ალკოჰოლს ასახელებენ. ისინი მიუთითენ, რომ მათი მეუღლეები მაშინ ხდებოდნენ მოძალადეები, როცა ან ამ ნივთიერებათა ნაკლებობა ჰქონდათ ან ჭარბი მოხმარება. ნარკოტიკზე და ალკოჰოლზე დამოკიდებულება მათში იწვევდა უკმაყოფილებას, რაც შემდგომში კომფლიქტის მიზეზიც ბევრჯერ გამხდარა. ის ქალები, რომლებიც ასახელებდნენ აზარტულ თამაშებს, მიუთითებდნენ, რომ მოთამაშე მეუღლეებმა ოჯახს ფინანსური პრობლემები შეუქმნეს. აზარტულმა თამაშმა წარმოქმნა და დააგროვა ბევრი ვალი, რომლის გადახდა ზოგ შემთხვევაში შეუძლებელი ან კიდევ ქალის მოვალეობად იქცა, რამაც ეკომონიკური პრობლემები შექმა ოჯახში. სტრესი ოჯახში მოქმედებს ნეგატიურად, განსაკუთრებით მაშინ, თუკი ოჯახში იმყოფება ბავშვი. არასრულწლოვანი მძიმე ფსიქოლოგიურ მდგომარეობაში ვარდება. სტრესმა შეიძლება მას ხელი ააღებინოს სწავლაზე და შემდგომში ამან გამოიწვიო მისი გზიდან გადახვევა. მეტიც, შესაძლოა ის თავადაც იქცეს შემდგომში მოძალადედ და ამის თეორიებზე ჩვენ უკვე ზემოთ ვისაუბრეთ.[26]

---

[25]http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/120412/UNDP_GE_DG_Gender_Impact_Analysis_Drug_Reform_201712გადამოწმებულია 04.07.2020

[26] Psychiatrie and Pain Characteristics of Prescription Drug Abusers Entering Drug Rehabilitation Lon HaysChair, Department of Psychiatry, University of Kentucky, Lexington, KY, USA page 31

თავი II. ოჯახში ძალადობა საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით

2.1 ოჯახში ძალადობაზე ერონული საკანონმდებლო ჩარჩო

საქართველომ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, 90-იანი წლებში სიდუხჭირისა და კრიზისების ფონზე გაიარა მძიმე პერიოდი. სოციალურმა და პოლიტიკურმა დაძაბულობის ეტაპებმა ხელი შეუწყო გარკვეული ტიპის დანაშაულობების წარმოჩინებას,[27] მათ შორის, ოჯახში ძალადობას. ოჯახში ძალადობის პრობლემა აქტუალური გახდა ბოლო ათწეულის განმავლობაში. კვლევებმა ცხადყო ძალადობის ფაქტთა სიმრავლე. პრობლემამ იჩინა თავი და სახელწიფო იძულებული გახდა, ეღიარებინა არსებული მდგომარეობა. აუცილებელი გახდა ოჯახში ძალადობის დასაძლევად სპეციალური საკანონმდებლო აქტის მომზადება და მიღება.

2006 წლის 25 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ.“[28] აღნიშნული ცვლილებიდან გამომდინარე, საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსს დაემატა VII[3] თავი, რომელიც ოჯახში ძალადობის აღკვეთის თაობაზე საქართველოს სამართლებრივ სისტემაში თვისობრივად ახალი დამატებითი სამართლებრივი მექანიზმების - დამცავი და შემაკავებელი ორდერის შემოღებას ითვალისწინებდა.[29] ცვლილებებს მოჰყვა კიდევ მეტი ცვლილება რიგ საკანონმდებლო აქტებში, კერძოდ, ,,იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონში, „საქართველოს შრომის კოდექსში“, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში, „პოლიციის შესახებ“ საქართველოს

---

[27] გაბრიჩიძე ნ., საოჯახო კონფლიქტის შედეგად ჩადენილი ძალადობითი დანაშაულობა - გამომც. „ ინტელექტი“, თბ., 2004, გვ. 13;

[28] საქართველოს კანონი „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“;

[29] https://police.ge/files/IRD/A5%20DV%20book.pdf გადამოწმებულია 04.07.2020

კანონში, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში.

„ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“[30] საქართველოს კანონი თავისი არსით სპეციფიკური და კომპლექსური ხასიათის სამართლებრივი აქტია, რომელიც ითვალისწინებს იმ დამატებით მექანიზმებსა და ღონისძიებებს, რომლებიც დაკავშირებულია ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლასთან, მის პრევენციასთან, მსხვერპლთა დაცვასა და დახმარებასთან. აღნიშნული კანონით განისაზღვრა: ოჯახში ძალადობის ცნება, ძალადობის ფორმები, ოჯახის წევრისა და მოძალადის დეფინიცია, ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსი, მსხვერპლთა სოციალური და სამართლებრივი დაცვის გარანტიები, ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის მექანიზმები და ინსტრუმენტები, მისი გამოვლენისა და აღკვეთის მექანიზმები, დამცავი და შემაკავებელი ორდერები, მათი გამოცემისა და გასაჩივრების პროცედურები.

კანონის მე-3 მუხლით განსაზღვრულია ოჯახში ძალადობის დეფინიცია, რომლის მიხედვით „ოჯახში ძალადობა გულისხმობს ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევას ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, სექსუალური ძალადობით ან იძულებით“.[31] აღნიშნულის გათვალისწინებით, კანონით გაიმიჯნა ძალადობის შემდეგი ფორმები - ფიზიკური ძალადობა, ფსიქოლოგიური ძალადობა, სექსუალური ძალადობა და ეკონომიკური ძალადობა, ასევე, იძულება. აღნიშნულმა მუხლმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ საქართველოს კონსტიტუციით აღიარებული პირის უფლებები და თავისუფლებები არ შეიძლება შეიზღუდოს მისივე ოჯახის სხვა წევრის მიერ.

სახეზე გვაქვს ძალადობის სამი კომპონენტი: მსხვერპლი, მოძალადე და ქმედება (ძალადობა). ოჯახში ძალადობის ცნება, დამდგარი სამართლებრივი

---

[30] შემდგომში ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ;

[31] https://matsne.gov.ge/ka/document/view/26422?publication=17 გადამოწმებულია 04.07.2020

შედეგებიდან გამომდინარე, შეიძლება მოიცავდეს: როგორც სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ ქმედებას - ძალადობას, ასევე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებულ გადაცდომასა და სამოქალაქო კოდექსით აღიარებულ პირთა კერძო-სამართლებრივ უფლებათა ხელყოფას.

დროთა განმავლობაში შეიცვლა სისხლისამართლებრივი დასჯადობის პოლიტიკა ოჯახში ძალადობის მიმართულებით. ამ მხრივაც მოხდა კანონში ცვლილება და 2012 წლის მაისში, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში შევიდა ცვლილება, რომლის მიხედვითაც, მოხდა ოჯახში ძალადობის კრიმინალიზაცია. სსსკ–ის 111-ე მუხლი განსაზღვრავს ოჯახის წევრთა წრეს და მიუთითებს კოდექსით გათვალისწინებულ დანაშაულთა ჩამონათვალზე, რომელთა ჩადენის შემთხვევაში კეთდება შესაბამისი მითითება აღნიშნულ მუხლზე.

სსკ-ის 126[1] მუხლი განმარტავს ოჯახში ძალადობის კრიმინალურ ხასიათს და აწესებს პასუხისმგებლობას ჩადენილი ქმედებისათვის. სხვადასხვა საერთაშორისო ხელშეკრულების გათვალისწინებით, 2011 წლის 11 მაისს შეიქმნა „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენცია (სტამბოლის კონვენცია), რომლითაც მოხდა ქალთა მიმართ ძალადობის დისკრიმინაციის ფორმად აღიარება.[32] კონვენცია ხელშემკვრელ მხარეებს ავალდებულებს, განახორციელონ შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები და დანერგონ კონკრეტული ეფექტიანი მექანიზმები და სერვისები.

ქალთა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა უფლებების დასაცავად შექმნილი ამ მნიშვნელოვანი დოკუმენტის რატიფიცირება საქართველომ 2017 წელს განახორციელა, რითაც სახელმწიფომ აიღო ვალდებულება, მიიღოს ყველა საჭირო საკანონმდებლო და სხვა ზომა ქმედითი, კომპლექსური და კოორდინირებული პოლიტიკის გასატარებლად, აღნიშნული კონვენციის

[32] „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენცია, მუხლი 3 https://matsne.gov.ge/ka/document/view/3789678?publication=0

მოქმედების სფეროში შემავალი ძალადობის ყველა ფორმის პრევენციისა და აღკვეთის მიზნით.[33]

საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის მიზნით, არსებულ კანონმდებლობაში შევიდა არაერთი მნიშვნელოვანი ცვლილება. კერძოდ, შემაკავებელი და დამცავი ორდერების გამოყენება შესაძლებელი გახდა არა მხოლოდ ოჯახში ძალადობის, არამედ ქალთა მიმართ ძალადობის გამოვლენის შემთხვევებშიც. ძალადობისგან დაცვის ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად, შემაკავებელი ორდერის ძალაში შესასვლელად გაუქმდა სასამართლოში მისი წარდგენის ვალდებულება. შესაბამისად, შემაკავებელი ორდერი ძალაში შედის პოლიციელის მიერ გამოცემისთანავე. მოხდა მომალადისთვის იარაღის ტარების უფლების შეზღუდვა; იძულებითი სტერილიზაცია, ქალის გენიტალიების დასახიჩრება და ადევნება კრიმინალიზებულია; ორ წლამდე გაიზარდა თავისუფლების აღკვეთის ვადა დამამძიმებელი გარემოებების გარეშე ჩადენილ ოჯახურ ძალადობასთან (სსკ-ის 1261-ე მუხლის 1-ლი ნაწილი) დაკავშირებით. სისხლის სამართლის კოდექსის სხვადასხვა მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულს დამამძიმებელ გარემოებად დაემატა დანაშაულის ჩადენა გენდერული ნიშნით და დანაშაულის ჩადენა ოჯახში. ოჯახური ძალადობის მსხვერპლების მსგავსად, სახელმწიფო თავშესაფრით სარგებლობის უფლება მიეცათ ძალადობის მსხვერპლ ქალებსაც.[34]

საქართველოს მოქალაქეობის არმქონე ან სხვა ქვეყნის მოქალაქე ძალადობის მსხვერპლ ქალს შესაძლებლობა მიეცა, მიიღოს დროებითი ბინადრობის ნებართვა და სამართალწარმოების დასრულებამდე ქვეყნიდან მისი გაძევება არ მოხდება. ასევე მნიშვნელოვანია, რომ 2017 წელს მთავრობის დადგენილებით დამტკიცდა გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი

---

[33] „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენცია, მხ. 7 - https://matsne.gov.ge/ka/document/view/3789678?publication=0

[34] სსკ-ს 531 მუხლი; https://matsne.gov.ge

კომისიის დებულება,[35] რომლის საფუძველზეც აღმასრულებელ ხელისუფლებაში პირველად შეიქმნა გენდერული თანასწორობის საკითხებზე მომუშავე ინსტიტუციური მექანიზმი.

აღნიშნული საკანონმდებლო რეგულაციები საკმაოდ მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია ქალთა მიმართ და ოჯახში ჩადენილი დანაშაულების პრევენციისა და მათზე სათანადო რეაგირების განხორციელებითვის. ამასთან, აღსანიშნავია ამ კუთხით სახელმწიფო უწყებების აქტიური მუშაობა.

2.2 ოჯახში ძალადობაზე საერთაშორისო საკანონმდებლო ჩარჩო

ოჯახში ძალადობა ძალადობის გამოვლინების ყველაზე საშიში და დამანგრეველი ეფექტის მომტანია საზოგადებისთვის. არც ევროპული საზოგადოება წარმოადგენს გამონაკლისს. ოჯახში ძალადობას გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ასე განსაზღვრავს: „ძალადობის ფორმა, რომელიც ჩნდება სქესობრივი კავშირის ან სისხლით ნათესაობის მქონე ორ ადამინს შორის მათ პირად ცხოვრებაში.“[36] საერთაშორისო სამართალს დიდი დრო დასჭირდა და კიდევ არ არის ჩამოყალიბებული ოჯახში ძალადობასთან მიმართებით. ქალთა მიმართ ძალადობის, როგორც ადამიანის უფლებათა დარღვევად აღიარება და დისკრიმინაცის ფორმად წარმოჩინება უკავშირდება გლობალურ ქალთა უფლებების მოძრაობას, რომელმაც საერთაშორისო დონეზე აღიარება 1990-იანი წლებში მოიპოვა.

საერთაშორისო დონეზე პირველი ორგანო, რომელმაც ქალთა მიმართ ძალადობა დისკრიმინაციის ფორმად აღიარა, გახლდათ ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კომიტეტი (CEDAW),[37] ხოლო 1993 წელს კი გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ მიღებულ იქნა

---

[35] https://matsne.gov.ge/document/view/3698004?publication=0

[36] მ. ჩიტაშვილი, ნ. ჯავახიშვილი. ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის საკითხების ეროვნული კვლევა საქართველოში, თბ., 2010, გვ. 14;

[37] https://www.un.org/womenwatch/daw/cedaw/ გადამოწმებულია 04.07.2020

დეკლარაცია ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის შესახებ (DEVAW), რომელიც განმარტავს ძალადობის ფორმებს და კონტექსტს.[38]

პირველი რეგიონალური კონვენცია ქალთა მიმართ ძალადობასთან დაკავშირებით არის ინტერ-ამერიკული კონვენცია ქალთა მიმართ ძალადობის თავიდან აცილების, დასჯისა და აღკვეთის შესახებ (Belem Do Para კონვენცია, 1994), რომლის პრეამბულაში ქალთა მიმართ ძალადობა ადამიანის უფლებათა დარღვევად არის მიჩნეული. მეორე რეგიონალური ხელშეკრულება არის 2003 წელს მიღებული ადამიანისა და ხალხთა უფლებების აფრიკული ქარტიის ოქმი აფრიკაში ქალის უფლებების შესახებ. აღნიშნული ოქმი ქალის მიმართ ძალადობის აღმოფხვრას, ცხოვრების ყველა ასპექტში ქალთა უფლებრივი გაუმჯობესების წინაპირობად განიხილავს. [39]

გაეროს კონვენცია „ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ (CEDAW) არის ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი დოკუმენტი ქალთა თანასწორობის მისაღწევად. კონვენცი არსითად ეფუძნება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიზნებს, რაც გულისხმობს ადამიანის ფუნდამენტური უფლებებისა და ქალისა და მამაკაცის თანასწორობას. CEDAW-ის განმარტებით, დისკრიმინაცია ქალთა მიმართ ნიშნავს ნებისმიერ განსხვავებას, გამონაკლისობას ან შეზღუდვას სქესის ნიშნით ან რაიმე სფეროში კაცთა და ქალთა თანასწორუფლებიანობის დარღვევას. [40]

ევროპის საბჭოს კონვენცია ქალებზე ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის და პრევენციის შესახებ (სტამბოლის კონვენცია) არის მესამე რეგიონალური ხელშეკრულება, რომელიც მის წინამორბედ ინსტრუმენტებს ეფუძნება და ქალთა ძალადობის წინააღმდეგ. ამ დოკუმენტს საერთაშორისო სამართლის ჩარჩო ახალ ეტაპზე გადაჰყავს. იგი სავალდებულო

---

[38] https://www.un.org/en/genocideprevention/documents/atrocity-crimes/Doc.21_declaration%20elimination%20vaw.pdf გადამოწმებულია 04.07.2020

[39] ფემიციდი - დისკრიმინაციული დანაშაული და მასთან ბრძოლის სახელმწიფო ვალდებულება (2016. მოამზადა ორგანიზაციამ „საფარი" ფონდი „ღია საზოგადოება-საქართველოს" მხარდაჭერით), გვ. 12-13;

[40] Women's Human Rights: CEDAW in International, Regional and National Law, p. 13.

ძალის დოკუმენტს წარმოადგენს, რომელიც ქალთა მიმართ ძალადობის დეფინიციას იძლევა და განსაზღვრავს მას, როგორც ადამიანის უფლებათა დარღვევასა და დისკრიმინაციის ფორმას. ქალთა მიმართ დისკიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენცია და სამი რეგიონალური ხელშეკრულება ერთად წარმოადგენს გლობალურ საერთაშორისო სამართლის ჩარჩოს, რომელიც მიმართულია ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ.

ევროპის საბჭოს კონვენცია ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ (სტამბოლის კონვენცია), ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის სფეროში უმნიშვნელოს დოკუმენტს წარმოადგენს.[41] კონვენციამ სახელმწიფოებს პასუხისმგებლობა დააკისრა, ძალადობაზე მოახდინონ ადეკვატური რეაგირება. აღნიშნული კონვენცია ხელმოწერებისთვის 2011 წლის 11 მაისს გაიხსნა, ძალაში კი 2014 წლის 1 აგვისტოს შევიდა.

საქართველო სტამბოლის კონვენციის ხელმომწერი 2014 წელს გახდა. მისი რატიფიკაცირება 2017 წელს მოხდა. კონვენციამ დაადგინა, რომ სისხლისსამართლებრივი დევნის ან სხვა სამართლებრივი სანქციის ამოქმედების საფუძველი უნდა გახდეს ისეთი ქმედებები, როგორიცაა:

- ოჯახური ძალადობა (ფიზიკური, სქესობრივი, ფსიქოლოგიური თუ ეკონომიკური ძალადობა);
- დევნა (აკვიატებული დევნა/გადაკიდება); სექსუალური ძალადობა, გაუპატიურების ჩათვლით; სქესობრივი შევიწროება;
- იძულებითი ქორწინება;
- ქალის გენიტალიების დასახიჩრება;
- იძულებითი აბორტი და იძულებითი სტერილიზაცია.

[41] ევროპის საბჭოს კონვენცია ქალებზე ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის შესახებ.

ხელშეკრულების წევრ სახელმწიფოებს ვალდებულება დაეკისრათ, ზემოთ-ჩამოთვლილი დანაშაულები საკუთარ სამართლებრივ სისტემებში ასახონ.[42]

კონვენცია მკაფიოდ აცხადებს, რომ ქალთა მიმართ ძალადობა და ოჯახში ძალადობა არ არის პირადი საქმე. კონვენცია ხაზს უსვამს, რომ ოჯახის შიგნით მომხდარ დანაშაულს შეუძლია ძლიერი ტრავმის გამოწვევა. ამიტომ, ამგვარი დანაშაულის ჩამდენს უფრო მკაცრი სასჯელი უნდა მიესაჯოს, მით უფრო, როდესაც მსხვერპლი მეუღლე, პარტნიორი ან ოჯახის წევრია.

[42]https://rm.coe.int/CoERMPublicCommonSearchServices/DisplayDCTMContent?documentId=0900001680464e72 გადამოწმებულია 04.07.2020

თავი III. ოჯახში ძალადობაზე რეაგირების, აღკვეთისა და დაცვის სამართლებრივი მექანიზმები

3.1 ოჯახში ძალადობის ფაქტებზე სამართლებრივი რეაგირების მექანიზმები

ოჯახში ძალადობის პრობლემის სირთულემ განაპირობა ბრძოლისათვის დამატებითი სისტემურ ღონისძიებათა ერთობლიობის განსაზღვრა, რომელიც შემოთავაზებული იქნა „ქალთა მიმართ ან ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონითა და მისგან გამომდინარე საკანონმდებლო აქტებში შეტანილი ცვლილებებით.

კანონის მე-9 მუხლის მიხედვით[43], ოჯახში ძალადობის გამოვლენისა და აღკვეთისათვის გამოიყენება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სისხლისსამართლებრივი, სამოქალაქო-სამართლებრივი და ადმინისტრაციულ-სამართლებრივი მექანიზმები. შეიძლება ითქვას, რომ ოჯახში ძალადობის ფაქტზე რეაგირებისას ძალადობის შინაარსის გათვალისწინებით ხდება როგორც სისხლის სამართლის კანონმდებლობით, ასევე ადმინისტრაციულ და სამოქალაქო კანონმდებლობით გათვალისწინებული მექანიზმების გამოყენება. პასუხისმგებლობის განმსაზღვრელი გახლავთ ქმედების მართლსაწინააღმდეგო ხასიათი ასევე მიყენებული ზიანის მოცულობა და ფარგლები. აღნიშნულის გათვალისწინებით, „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ კანონის მე-9 მუხლის მე-2 მე-4 პუნქტების მიხედვით: სისხლისსამართლებრივი მექანიზმები გამოიყენება ოჯახში ძალადობის იმ ფაქტის შემთხვევაში, რომელიც შეიცავს სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს; სამოქალაქო-სამართლებრივი

---

[43] საქართველოს კანონი „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ'', მუხ. 9, 25/05/2006

მექანიზმები გამოიყენება ოჯახში ძალადობის შედეგად მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად სამოქალაქო კანონმდებლობით დადგენილი წესით; ადმინისტრაციულ-სამართლებრივი მექანიზმები გამოიყენება შემაკავებელი და დამცავი ორდერების გამოცემის სახით, აგრეთვე მაშინ, თუ სამართალდარღვევა თავისი ხასიათით კანონმდებლობის შესაბამისად, არ იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას და მისი აღკვეთა შესაძლებელია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ნორმების გამოყენებით.

ამდენად, ოჯახში ძალადობის ფაქტებზე რეაგირებისათვის თავდაპირველად უნდა შეფასდეს სამართალდარღვევათა რა სახესთან (დანაშაულთან, ქონებრივ და არაქონებრივ ზიანთან, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევასთან და ა.შ.) გვაქვს საქმე და შესაბამისად, უნდა შეირჩეს რეაგირების ადეკვატური მექანიზმი.

ამასთან, შესაძლებელია ოჯახში ძალადობის ფაქტზე რეაგირებისათვის ერთდროულად გამოყენებული იქნეს რამდენიმე მექანიზმი.[44] მაგალითად, სისხლისსამართლებრივი და სამოქალაქო-სამართლებრივი, სისხლისსამართლებრივი და ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ან ადმინისტრაციულ-სამართლებრივი და სამოქალაქო-სამართლებრივი.

3.1.1 შემაკავებელი ორდერი

შემაკავებელი ორდერი წარმოადგენს პოლიციის უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ გამოცემულ სამართლებრივ აქტს. შემაკავებელი ორდერი გამოიცემა 1 თვემდე ვადით. იგი უნდა დაიწეროს სამართალწარმოების ენაზე ნათლად და გასაგებად. დაწერა შესაძლებელია ხელით ან ტექნიკური საშუალებების გამოყენებით. ორდერით განსაზღვრულია ოჯახში ძალადობის

---

[44] ოჯახში ძალადობის აღკვეთის აღკვეთის, ოჯახში ძალადობით მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ ნორმატიული აქტების კრებული, თბ., 2010, გვ. 3 (კრებული მომზადებულია გაეროს პროექტის („დავძლიოთ გენდერული ძალადობა ამიერკავკასიში“).

მსხვერპლის დაცვის დროებითი ღონისძიებები. მისი ამოქმედება ხდება გამოცემისთანავე და იგი 24 საათის განმავლობაში ეგზავნება და ბარდება მსხვერპლსა და მოძალადეს. შემაკავებელი ორდერის ასლი ეგზავნება დაუყოვნებლივ შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს შესაბამის საუბნო სამსახურს, მსხვერპლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, რათა შესაძლებელი იყოს დროული და ეფექტური რეაგირება ორდერით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევისთვის.

შემაკავებელ ორდერში მოცემულია მისი გამოცემის ადგილი, თარიღი, ინფორმაცია მოძალადის შესახებ (მისი სახელი, გვარი, დაბადების ადგილი, დრო, საცხოვრებელი ადგილი, პროფესია), აღწერილია გარემოებები, რის საფუძველზეც გამოიცა ორდერი. ასევე მოცემულია შემდგომი მოქმედებები, რომელთა განხორციელებაც მოძალადეს ეკრძალება. ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ კანონის მე-10 მუხლი იძლევა პირდაპირ ჩამონათვალს ღონისძიებებისა, რომელთა განხორციელებაც შეიძლება აეკრძალოს მოძალადეს. აღნიშნული მუხლის მიხედვით, შემაკავებელი ორდერი შეიძლება ითვალისწინებდეს:

ა) მსხვერპლის, მასზე დამოკიდებული პირის მოძალადისაგან გარიდებას და მათ თავშესაფარში მოთავსების საკითხებს;

ბ) მოძალადის მსხვერპლის საცხოვრებელი სახლიდან გარიდების საკითხს, მიუხედავად იმისა, იგი ამ სახლის მესაკუთრეა თუ არა;

გ) მოძალადის არასრულწლოვნისაგან განცალკევების საკითხებს;

დ) მოძალადისათვის თანასაკუთრებით ერთპიროვნულად სარგებლობის უფლების აკრძალვას;

ე) მოძალადისათვის ამ ორდერის მოქმედების პერიოდში ან ამ ორდერით განსაზღვრულ პერიოდში იარაღით (მათ შორის, სამსახურებრივ-საშტატო იარაღით) სარგებლობის უფლების შეზღუდვას ან აკრძალვას, იარაღის შეძენის ან მის შეძენაზე ნებართვის ან ლიცენზიის მოპოვების უფლების აკრძალვას და

პირად საკუთრებაში არსებული ან/და კუთვნილი იარაღის (მათ შორის, სამსახურებრივ-საშტატო იარაღის) შენახვის ან დროებით ჩამორთმევის პირობებს;

ვ) მოძალადის მსხვერპლთან, მის სამსახურთან და სხვა იმ ადგილებთან, სადაც მსხვერპლი იმყოფება, მიახლოების საკითხებს;

ზ) მოძალადის გაფრთხილებას ამ ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ;''

კანონი იძლევა შესაძლებლობას, ორდერით განისაზღვროს სხვა საკითხებიც, რომელებიც აუცილებელია შემდგომში მსხვერპლის უსაფრთხოებისათვის. შემაკავებელ ორდერს ხელს აწერს გამოცემის უფლების მქონე პირი და მსხვერპლი.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2006 წლის 11 სექტემბრის 1079-ე ბრძანებით დამტკიცდა შემაკავებელი ორდერის ფორმები.[45] ასევე განისაზღვრა ორდერის შედგენაზე უფლებამოსილი პირები. 2010 წლის 24 მარტს შსს მინისტრის 333-ე ბრძანებით მოხდა ცვლილება შემაკავებელი ორდერის გამოცემის უფლებამოსილი პირების შესახებ და ის ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: შსს-ს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის შესაბამისი თანამდებობის პირები, პატრულ-ინსპექტორი, უბნის ინსპექტორი, ოცეულის მეთაური.

პოლიციელთა მაღალკვალიფიციური მოქმედება მნიშვნელოვანი გახდა ძალადობის ფაქტებზე და მათი მხრიდან გამოვლენილი პროფესიონალიზმი მოდის პირდაპირ კავშირში კანონმდებლობით გათვალისწინებული მსხვერლთა დაცვის მექანიზმების მოქმედების ეფექტურობასთან.

---

[45] შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანება N 1079, თბ., 11 სექტემბერი, 2006.

3.1.2 დამცავი ორდერი

დამცავი ორდერი წარმოადგენს პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით გამოცემულ სამართლებრივ აქტს, რომელითაც განისაზღვრება მსხვერპლის დაცვის დროებითი ღონისძიებები. „დამცავი ორდერი შეიძლება ითვალისწინებდეს:

ა) მსხვერპლის, მასზე დამოკიდებული პირის მოძალადისაგან გარიდებისა და თავშესაფარში მათი მოთავსების საკითხებს;

ბ) მსხვერპლის, მასზე დამოკიდებული პირის მოძალადისაგან დაცვის ზომებს;

გ) მოძალადის მიერ თანასაკუთრებით ერთპიროვნულად სარგებლობის უფლების აკრძალვას;

დ) მოძალადის ვალდებულებას – არ შეზღუდოს მსხვერპლი, ისარგებლოს პირადი ნივთებით, ავტომანქანით ან სხვა იმ ქონებით, რომელიც აუცილებელია პიროვნების ნორმალური არსებობისათვის;

ე) მოძალადის მსხვერპლთან, მის სამსახურთან და იმ სხვა ადგილებთან, სადაც მსხვერპლი იმყოფება, მიახლოების საკითხებს;

ვ) მოძალადის ბავშვისაგან განცალკევების, მასთან შეხვედრისა და ურთიერთობის რეგულირების საკითხებს;

ზ) მოძალადის მიერ მსხვერპლის მკურნალობის, თავშესაფარში ყოფნის და სხვა, გონივრულ ფარგლებს მიკუთვნებული ხარჯების ანაზღაურების საკითხებს;

თ) მოძალადისათვის იარაღით, მათ შორის, სამსახურებრივ-საშტატო იარაღით, სარგებლობის უფლების შეზღუდვას, ასევე იარაღის შეძენის ან შეძენაზე ნებართვის მოპოვების უფლების აკრძალვას ორდერის მოქმედების ან ორდერით განსაზღვრულ პერიოდში;

ი) გაფრთხილებას ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ;

კ) მოძალადის სარეაბილიტაციო ცენტრში მოთავსების, მისი რეაბილიტაციის ღონისძიებებისა და რეაბილიტაციაზე ზედამხედველობის საკითხებს;

ლ) სხვა საკითხებს, რომლებიც აუცილებელია მსხვერპლის უსაფრთხოებისათვის.“[46]

დამცავი ორდერის გამოცემის მოთხვნის უფლება აქვს თავად მსხვერპლს, აგრეთვე მისი ოჯახის წევრს ან/და მსხვერპლის თანხმობით პირს, რომელიც მსხვერპლს უწევს იურიდიულ, სამედიცინო, ფსიქოლოგიურ დახმარებას, არასრულწლოვნის მიმართ ძალადობის შემთხვევაში კი ასევე მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს.[47]

დამცავი ორდერი გამოიცემა 6 თვემდე ვადით. ორდერის მოქმედების კონკრეტულ ვადის განსაზღვრას ახდენს სასამართლო. სასამართლო განცხადებას განიხილავს მისი რეგისტრაციიდან 10 დღის ვადაში და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას. ის შეეხება ორდერის გამოცემას, გამოცემაზე უარის თქმას ან გაუქმებას. სასამართლოს გადაწყვეტილება მხარეებს გადაეცემათ მისი მიღებიდან 24 საათის განმავლობაში. თუ საფრთხე არსებობს მსხვერპლის ან ოჯახის სხვა წევრის წინააღმდეგ, შესაძლებელია ორდერის მოქმედების ვადა შეიცვალოს. აღნიშნულ საკითხზე გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო. „ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ კანონის მე-12 მუხლის მიხედვით, დამცავი ორდერის ვადის გაგრძელება დასაშვებია ორდერის მოქმედებისას, დამატებით, არა უმეტეს 3 თვით.[48]

შემაკავებელი და დამცავი ორდერები ერთმანეთისგან განსხვავდებიან როგორც გამოცემის სუბიექტის მიხედვით, ასევე მოქმედების ვადით და ძალაში შესვლის სპეციფიურობით, ასევე გასათვალისწინებელი საკითხების რაობით. მოცემული კანონის მე-10 მუხლის მე-7 პუნქტის მიხედვით, დამცავი ორდერი

---

[46] საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, მუხ. 21^{15};

[47] იქვე, მუხ. 21, პ. 1, 2;

[48] საქართველოს კანონი „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“, მუხ. 12.

შეიძლება გათვალისწინებულ იქნას მოძალადის მიერ ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული სავალდებულო სწავლების კურსის გავლას. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 381[1] მუხლის მიხედვით,[49] დამცავი და შემაკავებელი ორდერებით გათვალისწინებული საკითხების არშესრულება იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.

3.1.3 ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ გამოყენებული სამართლებრივი მექანიზმების სტატისტიკა

2019 წელს, 2018 წელთან შედარებით, მნიშვნელოვნად გაიზარდა პოლიციისადმი მომართვიანობა, რაც ნდობის გაზრდას და საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაზე მიუთითებს.

2019 წელს ოჯახში ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის 6000-ზე მეტ ფაქტზე დაიწყო გამოძიება. 2018 წელს გამოძიება დაიწყო 5621 შემთხვევაზე. 2019 წელს, შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების, ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტისა და საქართველოს გენერალური პროკურატურის კოორდინირებული მუშაობის შედეგად, ოჯახში ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის ჩადენისთვის ბრალი წარედგინა 4564 პირს. უმეტესი მათგანის მიმართ გამოყენებული იქნა დაკავების ღონისძიება. 2018 წელს სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 3955 პირის მიმართ.

2019 წელს სამართალდამცველებმა ოჯახში ძალადობის ფაქტებზე მსხვერპლთა დაცვის მიზნით 10 266 შემაკავებელი ორდერი გამოსცეს, რაც 34%-ით აღემატება 2018 წლის მონაცემებს (2018 წელს ოჯახში ძალადობის ფაქტებზე გამოცემული შემაკავებელი ორდერების რაოდენობა 7646-ს შეადგენს).

---

[49] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 1999, მუხ. 381[1].

როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, ძალადობის ეფექტიანი პრევენციის მიზნით, შინაგან საქმეთა სამინისტროს ინიციატივით, შემაკავებელი ორდერის დარღვევისთვის გამკაცრდა პასუხისმგებლობა და ადმინისტრაციულის ნაცვლად სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დაწესდა. ასევე, ამოქმედდა ძალადობის რისკის შეფასების და შემაკავებელი ორდერის მონიტორინგის მექანიზმი, რამაც შემაკავებელი ორდერი მსხვერპლთა დაცვის რეალურ ინსტრუმენტად აქცია. შედეგად:

• შემცირდა შემაკავებელი ორდერის დარღვევის მაჩვენებელი. 2019 წელს, ოჯახში ძალადობის ფაქტებზე გამოცემული შემაკავებელი ორდერი 376-მა პირმა ანუ მხოლოდ 4%-მა დაარღვია. 2018 წელს დაფიქსირდა შემაკავებელი ორდერების დარღვევის 6%-იანი მაჩვენებელი;

• 2018-2019 წლებში, შემაკავებელი ორდერის მოქმედების ვადაში არც ერთი მკვლელობა არ მომხდარა;

• შემცირდა ოჯახური დანაშაულის შედეგად ქალთა მკვლელობების მაჩვენებელი. ოჯახური დანაშაულის შედეგად 2016 წელს გარდაიცვალა 14 ქალი, 2017 წელს - 14 ქალი, 2018 წელს - 7 ქალი, ხოლო 2019 წელს - ასევე 7 ქალი;

• გაიზარდა ოჯახის წევრის მიერ ქალის თვითმკვლელობამდე ან თვითმკვლელობის ცდამდე მიყვანის ფაქტზე პასუხისგებაში მიცემულ პირთა რაოდენობა. კერძოდ, ოჯახის წევრის მიერ ქალის თვითმკვლელობამდე ან თვითმკვლელობის ცდამდე მიყვანის ფაქტზე 2018 წელს პასუხისგებაში მიცემული იქნა 2 პირი, ხოლო 2019 წელს - 9 პირი.

შინაგან საქმეთა სამინისტრო ინიციატივით, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა განმეორებითი ძალადობისაგან დაცვის მიზნით, საქართველოს პარლამენტში განიხილება კანონპროექტი, რომელიც, რეალური საფრთხის არსებობის შემთხვევაში, პოლიციელთა მიერ მოძალადეთა მიმართ

ელექტრონული მონიტორინგის განხორციელების შესაძლებლობას ითვალისწინებს.[50]

3.1.4 პოლიციის მოვალეობები ქალის მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე

„ქალთა მიმართ ძალადობის ან/ და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის მიხედვით[51] პოლიცია ვალდებულია დაუყოვნებლივ მოახდინოს რეაგირება ოჯახში ძალადობის ფაქტის შესახებ ინფორმაციის მიღებისას მან უნდა განახორციელოს კანონით განსაზღვრული ყველა საჭირო ღონისძიება. „ოჯახში ძალადობის ფაქტის არსებობის შემთხვევაში პოლიცია ვალდებულია:

ა) ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის ფაქტის აღსაკვეთად მიიღოს კანონით გათვალისწინებული ზომები;

ბ) მსხვერპლს მიაწოდოს ინფორმაცია მისი უფლებების შესახებ;

გ) განცალკევებულად გამოკითხოს სავარაუდო მსხვერპლი, მოწმე, მოძალადე, მათ შორის, არასრულწლოვანი, რაც წერილობით უნდა დაფიქსირდეს;

დ) მსხვერპლის მოთხოვნით ან გადაუდებელ შემთხვევაში უზრუნველყოს მისი ან/და არასრულწლოვნის გადაყვანა თავშესაფარში;

ე) მსხვერპლის მოთხოვნით ან გადაუდებელ შემთხვევაში უზრუნველყოს მისი გადაყვანა სამედიცინო დაწესებულებაში; [52]

---

[50] https://police.ge/ge/odjakhshi-dzaladobisa-da-odjakhuri-danashaulis-chadenistvis-2019-tsels-4564-piri-mietsa-pasukhisgebashi/13292 შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის - ნინო ცაციაშვილის მოხსენება 2020 წელი 02 თებერვალი, გადამოწმებულია 04.07.2020

[51] https://matsne.gov.ge/ka/document/view/26422?publication=17 გადამოწმებულია 04.07.2020

[52] საქართველოს კანონი ,,პოლიციის შესახებ“, მუხლი 17, პუნქტი 2, ,,ა'' ქვეპუნქტი, 04/10/2013

ვ) უზრუნველყოს იმ პირის უსაფრთხოება, რომელმაც განაცხადა ძალადობის ფაქტის შესახებ;

ზ) მსხვერპლის სხვა ადგილზე გადაყვანის შემთხვევაში უზრუნველყოს მისი საცხოვრებელი ადგილიდან პირველადი საჭიროების ნივთებისა და საიდენტიფიკაციო დოკუმენტების წამოღება;

თ) ამ კანონით დადგენილი წესითა და პირობებით გასცეს შემაკავებელი ორდერი;

ი) სოციალური მუშაკის მიერ არასრულწლოვნის განცალკევების შესახებ მიღებული გადაწყვეტილებისადმი დაუმორჩილებლობის შემთხვევაში გამოსცეს იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვის ორდერი ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის შემთხვევებში კანონი ავალდებულებს პოლიციას თავის ანგარიშში ცალკე გამოყოს მონაცემები ძალადობის ფაქტების, მსხვერპლის რაოდენობის, მიღებული ზომების, მოძალადის მიმართ განხორციელებული ქმედებების თუ მოძალადის თაობაზე სხვა მონაცემების შესახებ.

პოლიიის ადგენს ძალადობის ფაქტისა და მიღებული ზომების შესახებ შესაბამის ოქმს, რომელიც შემდგომში წარედგინება ზედამხედველ პროკურორს.

„პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის მიხედვით, პოლიციის ფუნქციას წარმოადგენს როგორც დანაშაულისა და სამართალდარღვევათა თავიდან აცილება, ასევე მათი აღკვეთის მიზნით პრევენციული ღონისძიებების განხორციელება, ასევე მათი გამოვლენა და შესაბამისი სამართლებრივი რეაგირების მოხდენა. პოლიციელმა უნდა მოახდინოს მოსალოდნელი საფრთხეების რისკების და გამოწვევების ანალიზი და მოახდინოს სტრატეგიის შემუშავება დაუყოვნებლის დანაშაულის აღსაკვეთად. პოლიციელი, კანონის მე-17 მუხლის მიხედვით, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, რეაგირებს სამართალდარღვევის ფაქტებზე, დროებითი ღონისძიების სახით გამოსცემს შემაკავებელ ორდერს ან იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვის ორდერს. იგი ზედამხედველობს

გამოცემული შემაკავებელი და დამცავი ან იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვის ორდერებით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და პირობების შესრულებას. პოლიციის ძალისხმევა, გამოვლინდეს და აღიკვეთოს ოჯახში ძალადობრივი დანაშაული, მნიშვნელოვანია, რათა დაძლეულ იქნას გამოწვევა, რომელიც თანმდევია ამ ტიპის დანაშაულისათვის.

3.2 მსხვერპლის იდენტიფიცირება და მისთვის სტატუსის მინიჭება

„ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 თავი ეხება მსხვერპლს, მის უფლებებსა და დაცვის გარანტიებს. კანონის მე-4 მუხლით, მსხვერპლი შეიძლება იყოს ქალი, აგრეთვე ოჯახის ნებისმიერი წევრი, რომელთა კონსტიტუციური უფლებები და თავისუფლებები დაირღვა უგულებელყოფით ან/და ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური ან სექსუალური ძალადობით ან იძულებით და რომლებსაც მსხვერპლის სტატუსი განუსაზღვრა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისმა სამსახურმა, სასამართლო ორგანომ ან/და გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორის კომისიასთან არსებულმა ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის განმსაზღვრელმა ჯგუფმა (შემდგომ – მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფი).“ [53]

განმარტებიდან ჩანს, რომ მსხვერპლის იდენტიფიცირებას შსს-ს უფლებამოსილ თანამშრომლებთან, საგამოძიებო ორგანოებთან და სასამართლოსთან ერთად ახორციელებს მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფი, რომელიც სავარაუდო მსხვერპლისთვის სტატუსის მინიჭებას ახორციელებს, მხოლოდ მაშინ, როდესაც არ ხდება დამცავი ან შემაკავებელი ორდერის გამოცემა. ჯგუფის მიერ ოჯახში ძალადობის მსხვერპლის იდენტიფიცირებისა

[53] http://myrights.gov.ge/ab/useful-links/faq?type=113 ადამიანის უფლებათა დაცვის ცენტრი.

და სტატუსის განსაზღვრის წესი განსაზღვრულია საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 დეკემდები 684 დადგენილებით.[54] მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფი შედგება 12 სამოქალაქო სექტორის წარმომადგენელი წევრისგან, რომლებიც უნდა იყვნენ მხოლოდ იურისტები, სოციალური მუშაკი, ფსიქოლოგი, ექიმი, ფსიქიატრი და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე ექსპერტი.

ჯგუფის უფლებამოსილების ვადა შეადგენს 3 წელს. ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის განსაზღვრის თაობაზე იდენტიფიცირების პროცედურის დაწყების საფუძველს წარმოადგენს უფლებამოსილი სუბიექტების მიერ შევსებული საიდენტიფიკაციო კითხვარი და წარდგენილი ინფორმაცია, რომელიც განსახილველად წარედგინება იდენტიფიცირების ჯგუფს. გადაწყვეტილებას სავარაუდო მსხვერპლისათვის სტატუსის მინიჭების ან მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ იღებს უფლებამოსილი სუბიექტების მიერ წარდგენილი ინფორმაციის, შევსებული საიდენტიფიკაციო კითხვარის, ასევე მის მიერ დამატებით მოპოვებული ინფორმაციისა და სავარაუდო მსხვერპლთან გასაუბრების გზით მოპოვებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე. მსხვერპლის სტატუსის მოქმედების ვადა არის 18 თვე.

3.3 მსხვერპლის უფლებები და მისი დაცვის მექანიზმები

„ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის მიხედვით, „მსხვერპლი/სავარაუდო მსხვერპლი უფლებამოსილია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით: [55]

---

[54] http://gov.ge/files/382_47041_768172_684181214.pdf გადამოწმებულია 04.07.2020

[55] საქართველოს კანონი „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ'', მუხლი 17.

ა) მიმართოს შესაბამის სახელმწიფო ორგანოს ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის ფაქტის სიმძიმის გათვალისწინებით ან გამოცემული დამცავი და შემაკავებელი ორდერების პირობების დარღვევის შემთხვევაში ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის გამოვლენისა და აღკვეთისათვის სისხლისსამართლებრივი მექანიზმების გამოყენების მოთხოვნით;

ბ) მიმართოს შესაბამის სახელმწიფო ორგანოს დამცავი ორდერის ან შემაკავებელი ორდერის გამოცემის მოთხოვნით, ხოლო გამოცემული დამცავი ორდერის ან შემაკავებელი ორდერის პირობების დარღვევისას – მასზე რეაგირების მოთხოვნით;

გ) ისარგებლოს თავშესაფრით/კრიზისული ცენტრით და იქ არსებული მომსახურებით;

დ) მიმართოს შესაბამის სასამართლო ორგანოს ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის შედეგად მისთვის მიყენებული ზიანის მოძალადის მიერ ანაზღაურების მოთხოვნით;

ე) მიმართოს შესაბამის სახელმწიფო ორგანოს საქართველოში ყოფნისათვის დროებითი ბინადრობის ნებართვის მისაღებად, თუ იგი უცხოელი ან მოქალაქეობის არმქონე პირია;

ვ) თავშესაფარში/კრიზისულ ცენტრში განთავსებისას ისარგებლოს უფასო სამართლებრივი კონსულტაციით, უფასო პირველადი და გადაუდებელი სამედიცინო მომსახურებით და ფსიქოლოგიური დახმარებით; ზ) თავშესაფარში/კრიზისულ ცენტრში ყოფნისას ისარგებლოს შრომითი ურთიერთობის შეჩერების უფლებით. მისი შეჩერების ვადა არ უნდა აღემატებოდეს წელიწადში 30 კალენდარულ დღეს;

ზ) ისარგებლოს ამ კანონითა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით გათვალისწინებული სოციალური და სამართლებრივი დაცვის სხვა მექანიზმებით;

თ) „იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით ისარგებლოს იურიდიული დახმარებით სახელმწიფოს ხარჯზე;

ძალადობის შედეგად დაზარალებული პირის დასაცავად შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს დაცვის სპეციალური ღონისძიებები, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით.

უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს მსხვერპლის სათანადო ინფორმირება მისი უფლებებისა და დაცვის გარანტიების შესახებ. კანონი ავალდებულებს შესაბამის ორგანოებს, მსხვერპლს, მისთვის გასაგები ფორმითა და გასაგებ ენაზე მიაწოდოს ინფორმაცია. ქვეყანაში არსებული მსხვერპლთა სოციალური და სამართლებრივი დაცვისა და დახმარების მექანიზმების და შესაბამისი სერვისების შესახებ. კანონის მიხედვით, თუ ძალადობის ჩამდენი პირი გათავისუფლდება პენიტენციური დაწესებულებიდან ან გაიქცევა, შსს ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატობინოს მსხვერპლს აღნიშნულის შესახებ.

„ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონი საუბრობს მსხვერპლის დროებით საცხოვრებელზე, იგივე თავშესაფრებზე. კანონის მიხედვით, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში არსებული მსხვერპლთა დროებითი საცხოვრებელი (თავშესაფარი) მსხვერპლს უნდა უქმნიდეს საყოფაცხოვრებო პირობებს და უნდა უზრუნველყოფდეს მის მიერ პირველადი და გადაუდებელი სამედიცინო მომსახურებითა და ფსიქოლოგიური დახმარებით სარგებლობის შესაძლებლობას.

არასამეწარმეო იურიდიული პირის მიერ თავშესაფრის შექმნა დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუკი იგი აკმაყოფილებს ამ ტიპის დაწესებულებისათვის დადგენილ მინიმალურ სტანდარტებს. თავშესაფრის საქმიანობა რეგულირდება შესაბამისი წესდებით, რომლითაც განსაზღვრულია მსხვერპლის, როგორც თავშესაფარში მოთავსების, ისე მისი რეაბილიტაციის წესი.

მსხვერპლის თავშესაფარში გადაყვანას ახორციელებენ სამართალდამცავი ორგანოები, თუკი ამას მოითხოვს თავად მსხვერპლი. თავშესაფარში მსხვერპლის მოთავსება ხდება 3 თვემდე ვადით. საჭიროების შემთხვევაში თავშესაფრის შინაგანაწესით დადგენილი წესით, შესაძლებელია ეს ვადა გაგრძელდეს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მსხვერპლს აღარ სურს ამ მეტი ხნით თავშესაფარში გაჩერება. ვადის ამოწურვის შემდეგ თუკი მსხვერპლის მიმართ საფრთხის არსებობა გამოიკვეთება, თავშესაფრის ადმინისტრაცია ვალდებულია, აღნიშნული გარემოების შესახებ შეატყობინოს სამართალდამცავ ორგანოებს. მსხვერპლის ვინაობის შესახებ ინფორმაცია კონფიდენციალურია, ასევე მისი ფსიქოლოგიური თუ ფიზიკური მდგომარეობის შესახებ მიღებული ინფორმაციის გამჟღავნება დაუშვებელია, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

მსხვერპლის თავშესაფარში ან კრიზისულ ცენტრში მოთავსების შემთხვევაში მსხვერპს უნარჩუნდება სამუშაო ადგილი და რჩება იმ თანამდებობაზე, რა პოზიციასაც ის იკავებდა.

თუკი მსხვერპლს არ სურს არც თავშესაფარში და არც კრიზისულ ცენტრში გადაყვანა და გამოთქვამს სურვილს, დარჩეს მის საცხოვრებელ ადგილზე. ასეთ შემთხვევაში, შემაკავებელი ან დამცავი ორდერის მეშვეობით ხორციელდება აღნიშნული საცხოვრებლიდან მოძალადის დროებითი განრიდება, იმ შემთხვევაშიც, თუკი საცხოვრებელი ადგილის მესაკუთრე თავად მოძალადეა.

კანონის მოთხვნებიდან გამომდინარე, მსხვერპლთა/სავარაუდო მსხვერპლთა დახმარების და კონსულტაციის გაწევის უზრუნველყოფის მიზნით ჩამოყალიბებულია უფასო, 24-საათიანი სატელეფონო საკონსულტაციო ცხელი ხაზი, რომელიც მოქმედებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. დაინტერესებულ პირს ინფორმაცია მიეწოდება ძალადობის ფაქტზე რეაგირების მექანიზმების და მსხვერპლთა დაცვის ღონისძიებათა შესახებ. კონფიდენციალობა არის დაცული კანონის მოთხოვნის შესაბამისად.

მსხვერპლს, გარდა მისი მოძალადისგან გარიდებისა, ასევე ენიშნება სოციალური მუშაკი, რომელიც მას ეხმარება პრობლემის სწორად გააზრებაში თვითშეფასების ამაღლებაში, ასევე უწყობს მას ხელს დასაქმებაში, აწვდის საჭირო ინფორმაციას განათლების მიღების შესახებ და სხვა. მსხვერპლთან მუდმივ კავშირზეა ფსიქოლოგი, რომელიც კონსულტაციას უწევს და ეხმარება მას საკუთარ ცხოვრებაზე კონტროლის დაბრუნებასა და რეაბილიტაციაში. მსხვერპლისთვის ხელმისაწვდომია სამედინიცო მომსახურება, ჯანმრთელობის მდგომარეობის განსაზღვრა და საჭიროების შემთხვევაში მოხდება მისი დახმარება.

სამართლებრივი პრობლემის არსებობის შემთხვევაში მასთან მუშაობს იურისტი. მისთვის სამართლებრივი კონსულტაციის გაწევა, ასევე სასამართლო ადვოკატირება ხდება უსასყიდლოდ. აღნიშნული მომსახურებით სარგებლობა ეხება მსხვერპლისთვის ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიცაა ალიმენტი, განქორწინება, ქორწინებასთან დაკავშირებული ქონებრივი დავა და დამცავი ორდერის მიღება.

3.4 მოძალადე, მისი უფლებები და რეაბილიტაციასთან დაკავშირებული თავისებურებები

„ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დამხარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მიხედვით, მოძალადეა ოჯახის წევრი, რომელიც არღვევს ოჯახის სხვა წევრის კონსტიტუციურ უფლებებსა და თავისუფლებებს, ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სექსუალური ან ეკონომიკური ძალადობით ან იძულებით.[56] ასევე, „მოძალადედ მიიჩნევა ოჯახის წევრი ან ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც საზოგადოებრივ თუ პირად ცხოვრებაში ქალის მიმართ

[56] http://myrights.gov.ge/ka/%E1%83%A9%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%98-%E1%83%A3%E1%83%A4%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/faq/671-vin-itvleba-modzaladed ადამიანის უფლებათა დაცვის სამდივნო გადამოწმებულია 04.07.2020

გენდერული ნიშნით ახორციელებს ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ, სექსუალურ ან ეკონომიკურ ძალადობას ან იძულებას.“[57] მე-20 მუხლი კი საუბრობს მოძალადის კორექციისკენ მიმართული ღონისძიებების შესახებ, რომელიც გულისხმობს მოძალადის მიერ ძალადობრივი ქცევის შეცვლისას და მისი ფსიქოლოგიურ-სოციალური დახმარებისკენ მიმართულ ღონისძიებებას. კანონის მიზანია ძალადობის განმეორების თავიდან აცილება და მსხვერპლის უსაფრთხოების უზრუნველყოფა. მნიშვნელოვანია მოძალადის მიერ ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული სავალდებულო სწავლების კურსის გავლა. მოძალადის დამოკიდებულებებისა და ქცევის კორექციისკენ მიმართული ღონისძიებები და მათი განხორციელების წესი და ფორმები განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

საქართველოს მთავრობის მიერ 2011 წლის 13 იანვარს დამტკიცდა ოჯახში მოძალადეთა რეაბილიტაციის კონცეფცია. კონცეფციის მიზანია ოჯახში ძალადობის აღმოფხვრა, ოჯახის წევრთა დაცვა, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დახმარება და მათი უსაფრთხოების უზრუნველყოფა, მოძალადეთა დამოკიდებულებებისა და ქცევის შეცვლისაკენ მიმართული ღონისძიებების შემუშავება. ღონისძიებები ასევე გათვლილია იმ პირებისათვისაც, რომლებიც უკვე სასჯელს იხდიან ან პირობითი მსჯავრის ქვეშ იმყოფებიან ქმედების გამო, რომელიც უკავშირდება მათ მიერ ოჯახში ძალადობის ფაქტის ჩადენას.

კონცეფცია გამოხატავს სახელმწიფოს დამოკიდებულებას მოძალადეთა ქცევების შედეგად მიყენებული ზიანის აღმოფხვრის საჭიროებაზე. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შესული ცვლილების მიხედვით, მოძალადემ უნდა გაიაროს ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული სავალდებულო სწავლების კურსი.

მოძალადეთა რეაბილიტაცია უმნიშვნელოვანესი მექანიზმია ძალადობასთან საბრძოლველად, მისი განმეორების თავიდან ასაცილებად.

---

[57] https://sao.ge/files/auditi/auditisangarishebi/2019/ojaxshi_dzaladobis_dacvis_efeqtianobis_auditis_angarishi.pdf ეფექტიანი აუდიტის ანგარიში გადამოწმებულია 04.07.2020

ყველა ადამიანი კანონით თანაბრად უნდა იყოს დაცული და მნიშვნელობა არა აქვს იმ ფაქტს, რომ შეიძოება პირი მოძალადე იყოს. მასაც სჭირდება დახმარება და კანონიერი მოპყრობა.

თავი IV. ოჯახში ძალადობის პრევენცია - გამოწვევები და ძირითადი მექანიზმები

4.1 პრევენციის აუცილებლობა ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მიმართ

სახელმწიფომ ეფექტურად და დროულად უნდა მოახდინოს მის ხელთ არსებული ყველა მექანიზმის მობილიზება, რათა ძალადობა თავიდან იქნას აცილებული. მისი პირდაპირი მოვალეობაა, რეაგირება მოახდინოს ძალადობის თითოეულ შემთხვევაზე. ძალადობის პრობლემის დაძლევისა და მისი თავიდან აცილებისთვის მნიშვნელობანია, გატარდეს პრევენციული ღონისძიებები. „ქალთა მიმართ ძალადობის ან/ და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის პრევენციის მექანიზმები გულისხმობს:

ა) ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის გამოსავლენად და აღსაკვეთად ეფექტიანი სამართლებრივი მეთოდების დანერგვას;

ბ) იმ ფაქტორების ანალიზს, შესწავლასა და შეფასებას, რომლებიც ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მიზეზებია;

გ) იმ პირთა მიმართ პრევენციული ღონისძიებების განხორციელებას, რომლებიც ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის ჩამდენ რისკჯგუფებს განეკუთვნებიან ან რომლებმაც ქალთა მიმართ ძალადობა ან/და ოჯახში ძალადობა ჩაიდინეს;

დ) შესაბამისი სტატისტიკის წარმოებას;

ე) ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის შემთხვევაში მოძალადის პასუხისმგებლობის, მსხვერპლის უფლებების და ამ უფლებების

დაცვის გარანტიების შესახებ ინფორმაციის გავრცელებასა და ხელმისაწვდომობას;

ვ) სათანადო საინფორმაციო-საგანმანათლებლო კამპანიის წარმართვას, რათა ადამიანებს ჰქონდეთ ინფორმაცია თავიანთი უფლებებისა და თავისუფლებების, მოვალეობების, აგრეთვე შესაბამისი დაცვის გარანტიების თაობაზე, მათ შორის, იმ უფლებებისა და მოვალეობების შესახებ, რომლებიც ოჯახის წევრთა თანასწორობასა და ურთიერთვალდებულებებს უზრუნველყოფს;

ზ) ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის პრევენციის უზრუნველსაყოფად დაინტერესებულ ინსტიტუტებთან ერთად ერთობლივი პროგრამების შექმნასა და მხარდაჭერას.

თ) ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის შემთხვევაში მსხვერპლისათვის დახმარებისა და დაცვის ღონისძიებების, ხოლო მოძალადისათვის – დამოკიდებულებებისა და ქცევის კორექციისკენ მიმართული ღონისძიებების განხორციელებას.

ოჯახში ძალადობის აღმოფხვრისათვის უმნიშვნელოვანესია დანაშაულის ადრეული პრევენცია.[58] უპირველესად, ადამიანის პიროვნების ჩამოყალიბება და მისი შეგნების წორი ფორმირება იწყება ადრეულ ასაკში. შესაბამისად, მასში როდესაც მოზარდია პიროვნება და არის განვითარების ეტაპებზე, ეს იქნება სკოლამდელი ასაკის თუ მას შემდეგ პერიოდი, საჭიროა არაძალადობრივ ქცევაზე მიმართული სწავლების კურსის შემუშავება და მისი პრაქტიკაში მოყვანა, ასევე პედაგოგთა გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება, რათა მათ შეძლონ სწორი აღზრდით ხელი შეუწყონ მოზარდებში ძალადობრივი გამოვლინების აღმოფხვა.

უმნიშვნელოვანესია, მოზარდმა გააცნობიეროს კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების შესაძლებლობა, რომ მას შეუძლია კომპრომისის მიღწევა. მოზარდი უნდა ფლობდეს ცოდნას გენდერულ თანასწორობაზე, რომ ყველა ადამიანი თანასწორია და არაძალადობრივი ცხოვრება - ეს არის როგორც

[58] Journal Violence between Family Members page 5

სამართლებრივად სწორი ქმედება, ასევე მორალურადაც. მოგეხსენებათ, მოზარდების აღზრდას მხოლოდ საგანმანათლებლო დაწესებულებები არ ეწევიან. მოზარდები იზრდებიან ოჯახში და ზოგიერთ შემთხვევაში, ისეთ ოჯახში, სადაც ნაკლებია ინფორმაცია. ოჯახში ძალადობის, მისი ნეგატიური გამოსავლის შესახებ არა მხოლოდ სკოლაში უნდა მოხდეს ინფორმაციის გაცემა, არამედ სახელწიფომ ხელი უნდა შეუწყოს ასევე პროპაგანდირებას თითეოულ ოჯახში, რამდენადაც ეს მაქსიმალურად იქნება შესაძლებელი.

ერთ-ერთი მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ასევე სახელმწიფოს მხრიდან ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის სწორედ წარმართვა. ამ მიმართულებით სახელმწიფო უნდა მუშაობდეს, რომ გააძლიეროს ფსიქოლოგიური ცენტრები, ხელი შეუწყოს ყოველგვარ წამოწყებას საზოგადოებაში, რომელიც შეეხება ოჯახში ძალადობის თავიდან აცილებას. სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს, რომ სოციუმში გაღვივდეს განცდა, რომ ოჯახში ძალადობა - ეს არის ყოველგვარ ზღვარს მიღმა ქმედება და ის დასაგმობია.

ეკონომიკური გვერდით დგომა და სწორი პოლიტიკის წარმართა არის პირდაპირი მოვალეობა ამ მხრივ. ზემოხსენებულის შესრულებაში არა მხოლოდ სახელმწიფოს როლია მნიშვნელოვანი, არამედ მედიისაც, რომელიც თამაშობს უდიდეს როლს საზოგადოებაში.

4.2 ოჯახში ძალადობის პრევენციის ღონისძიებები სამართალდამცავი და სხვა სტრუქტურების ეფექტიანობის ასამაღლებლად

სამართალდამცავების პირდაპირი მოვალეობაა, ოჯაში ძალადობა მიიჩნიონ მნიშვნელოვნად და უზრუნველყონ ეფექტიანი რეაგირება. ამ მიმართულებით აუცილებელია გაძლიერდეს სამართალდამცავთა საქმიანობის მონიტორინგი. მოსახლეობაში სამართალდამცავთა საქმიანობისადმი ნდობის გასაღრმავებლად, საჭიროა გაგრძელდეს პოლიციელების კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები. გამომდინარე იქედან, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო

არის ორგანო, რომელიც პირველი ახდენს რეაგირებას ოჯახში ძალადობის ფაქტზე, გადამწყვეტია, მათ ჰქონდეთ სწორი დამოკიდებულება გენდერული თანასწორობის მიმართ. ისინი ოჯახში ძალადობის პრევენციისა და მასზე რეაიგირების დროს სენსიტიურები იყვნენ. პოლიციელი უნდა ფლობდეს საჭირო უნარებს და ინსტრუმენტებს, რათა მოახდინოს რისკების სწორი შეფასება.

ოჯახში ძალადობის პრევენციის არსებული სამართლებრივი მექანიზმების ეფექტიანობის გასაზრდელად მიზანშეწონილია, რომ გამარტივდეს შემაკავებელი ორდერის დამტკიცების პროცედურები, რათა არსებულმა ბიუროკრატიულმა პროცედურებმა არ შეაფერხოს ოჯახში ძალადობის მსხვერპლისა და მოწმეების თანამშრომლობა სამართალდამცავებთან. საქართველო შინაგან საქმეთა სამინისტრომ 2018 წელს შექმნა სპეციალური დეპარტამენტი „ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტი, „რომელიც ორიენტირებულია კომპეტენციის ფარგლებში, უზრუნველყოს დროული რეაგირება და მიმდინარე გამოძიების ეფექტიანობის კონტროლი და დაკვირვება შემდეგ დანაშაულობებზე:

- ოჯახური დანაშაული;
- ქალთა მიმართ ძალადობა;
- დისკრიმინაციის ნიშნით და შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაული;
- ტრეფიკინგი;
- არასრულწლოვანთა მიერ/მიმართ ჩადენილი დანაშაული;
- სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული;
- ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული.[59]

დეპარტამენტი მისი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს დანაშაულების გამოძიების მეთოდოლოგიის შემუშავებას, მის პრაქტიკაში

[59]https://police.ge/ge/ministry/structure-and-offices/adamianis-uflebata-datsvis-departamenti
გადამოწმებულია 04.07.2020

დანერგვას, პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვის მიზნით შეიმუშავებს წინადადებებს და წარუდგენს სამინისტროს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს, ახორციელებს მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორთა საქმიანობის კოორდინაციას.

4.2.1 მეორეული და ხელახალი ვიქტიმიზაციის პრევენცია - მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორი

ოჯახში ძალადობის პრევენციისათვის აუცილებელია, არ დაგვავიწრდეს მსხვერპლთა მიმართ რისკი, რომ შეიძლება ისინი ისევ გახდენენ ძალადობის მსხვერპლები. სტამბოლის კონვენციის მე-15 მუხლში ადგენს სპეციალისტების პროფესიული მომზადების საკითხს. კონვენცია სახელმწიფოებს აკისრებს ვალდებულებას, განახორციელონ იმ სპეციალისტების პროფესიული მომზადება, რომლებსაც უშუალო ურთიერთობა აქვთ ძალადობის მსხვერპლთან, რადგან აღიკვეთოს მსხვერპლის მეორადი ვიქტიმიზაციის საფრთხე.

ამავე კონვენციის მე-18 მუხლი სახელმწიფოს ავალდებულებს, მიზნად დაისახოს მეორადი ვიქტიმიზაციის თავიდან აცილების აუცილებლობა. ბრალდების მხარეს მნიშვნელოვანია როლი აკისრია. ისინი მსხვერპლებს უნდა მოექცნენ პატივისცემით, რათა მათთვის გაუსაძლისი არ იყოს სამართალდამცავ ორგანოებთან თანამრომლობა.[60]

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა სრულად ვერ აწესრიგებს მსხვერპლის მეორადი ვიქტიმიზაციის საფრთხის თავიდან აცილებას. დაკითხვას ესწრება თავად მოძალადეც და საფრთხე დგება ვიქტიმიზაციისა. დაზარალებული იძულებულია, მიუხედავად მისი ნებისა, სასამართლოში შეხვდეს მოძალადეს და მისი თანდასწრებით ისაუბროს ძალადობის ფაქტზე და ეს რთულად გადასატანია. პიროვნების ვიქტიმირების

---

[60] Handbook on effective prosecution responses to violence against women and girls;UNODC, Viena, 2014, p. 44.

თავიდან აცილების მიზნით შესაძლებელია, თუ განხორციელდება „დაზარალებულის ჩვენების ფირზე ჩაწერა, რომ მას აღარ მოუწიოს მრავალჯერ ჩვენების მიცემა (გაუპატიურების საქმეებზე), ბრალდებულის სასამართლო სხდომის დარბაზიდან გაყვანა დაზარალებულის დაკითხვისას, სხვა სასამართლო დარბაზიდან დაზარალებულის დისტანციური დაკითხვა აუდიოვიდეო აპარატურის გამოყენებით.[61]

პროკურორების, მოსამართლეებისა და პოლიციის როლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ხელახალი ვიქტიმიზაციის თავიდან ასაცილებლად, გამოძიებასა და სასამართლო პროცესებში მონაწილე მსხვერპლის უსაფრთხოების დასაცავად. ძალადობის მსხვერპლი შესაძლოა კვლავ გახდეს არაადამიანური მოპყრობის მსხვერპლი, თუ არ მოხდება მოძალადე პირის მხრიდან დანაშაულის აღკვეთა.[62] ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ქალები მაინც ირჩევენ დუმლს და უარს აცხადებენ ახლო ნათესავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემაზე ახალი ძალადობრივი დანაშაულის ჩადენის საფრთხის გამო.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში 2011 წელს განხორციელდა ცვლილება. კერძოდ, პროცესის მონაწილედ შემოვიდა მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორი. კოდექსში გაჩნდა ახალი თავი - „მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორი“.

მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორი - არის პირი, რომელიც უზრუნველყოფს მოწმის/დაზარალებულის მხარდაჭერას სამართალწარმოების პროცესში.“[63] კანონის ახლად დამატებული VII[1] თავის მიხედვით, მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის საქმეში ჩართვის მიზანია მოწმისთვის და დაზარალებულისთვის სამართალწარმოების პროცესში მონაწილეობის გამარტივება, დანაშაულის შედეგად გამოწვეული სტრესის შემცირება,

---

[61] შალიკაშვილი მ., ვიქტიმოლოგია - მეცნიერება დანაშაულის შესახებ, მერიდიანი, თბ., 2011, გვ 34-36;

[62] reventing da Combating domestic violence against women, a learning resource for training law enforcement da justice officers, Counsil of Europe, 2016, p. 2;

[63] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009, მუხ. 22[1].

ხელახალი ვიქტიმიზაციისა და მეორეული ვიქტიმიზაციის თავიდან აცილება და გამოძიებისა და სასამართლო განხილვის ეტაპებზე მათი ინფორმირებულობის უზრუნველყოფა.

მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორი ახალი გადადგმული ნაბიჯია მოწმისა და დაზარალებულის უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების გზაზე. იგი, სისხლის სამართლის საქმეში, შესაძლებელია ჩაერთოს პროკურორის გადაწყვეტილებით. საქართველოს პროკურატურის სისტემაში მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახური 2011 წლიდან ფუნქციონირებს. 2018 წლის მაისის თვეში საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახური ინსტიტუციურად კიდევ უფრო გაძლიერდა ცვლილების თანახმად, კოორდინატორი გახდა სამართალწარმოების პროცესის მონაწილე სუბიექტი და აღიჭურვა არაერთი მნიშვნელოვანი ფუნქციით.

კერძოდ, კოორდინატორები ესწრებიან დაზარალებულის მონაწილეობით ჩატარებულ საგამოძიებო მოქმედებებს, დახურულ სასამართლო პროცესებს, მარტივი და გასაგები ენით აწვდიან ინფორმაციას სამართალწარმოების პროცესის შესახებ, უწევენ ემოციურ მხარდაჭერას, ეხმარებიან დაზარალებულებისთვის არსებული სერვისებით სარგებლობაში, იქნება ეს თავშესაფრით უზრუნველყოფა, სამედიცინო და იურიდიული დახმარება თუ ხელშეწყობა დასაქმებასა და სხვა პიროვნული და პროფესიული უნარების გაძლიერებაში.

კოორდინატორები პრიორიტეტულად ერთვებიან ისეთ საქმეებში, სადაც სახეზეა: ოჯახური დანაშაული, ოჯახში ძალადობა, ტრეფიკინგი, სექსუალური ძალადობა, სიძულვილის მოტივით ჩადენილი დანაშაული, ასევე საქმეებში, სადაც დაზარალებული ან/და მოწმე არასრულწლოვანი ან შშმ პირია, დანაშაულის ჩადენის შედეგად დაზარალებულს/მოწმეს მიადგა მძიმე ფიზიკური, მორალური ზიანი ან/და დანაშაულისგან გამოწვეული სტრესი ართულებს დაზარალებულთან/მოწმესთან კომუნიკაციას.

მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახური მოქმედებს შინაგან საქმეთა სამინისტროშიც. კოორდინატორები ძირითადად ჩართულები არიან ოჯახური ძალადობის საკითხებში. ისინი ეხმარებიან მსხვერპლებსა და მოწმეებს, სრულყოფილად იყვნენ ჩართულები სამართლაწარმოების პროცესში, ზრუნავენ მათი მთავარი ფუნქციიის შესრულებაში. პრევენცია, გამოძიების მსვლელობისას მსხვერპლთა ინფორმირებულობის უზრუნველყოფა, სახელმწიფოში არსებული სერვისების გაცნობა, მოქალაქეებსა და სამართალდამცავ სტრუქტურებს შორის ეფექტიანი ურთიერთობის ხელშეწყობა ძირითადი საკითხებია, რასაც შინაგან საქმეთა სამინისტრო მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის ფუნქცია მოვალეობის ფარგლებში ავალებს კოორდინატორებს.

მათ მირ გაწეული სამუშაოებზე კონტროლს ახორციელებს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტი.[64] მოწმისა დაზარალებულის კოორდინატორი ამერიკის შეერთვეულ შტატებში დიდი ხანია არსებობს და მისი ფუნქცია მოვალეობების ფედერალური კანონით რეგულირდება.[65]

საქართველოში 2018 წელს მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახურით სულ ისარგებლა 9292-მა მოქალაქემ. მათ შორის: დაზარალებული 3891, მოწმე 2341, არასრულწლოვანი დაზარალებული 67, არასრულწლოვანი მოწმე 61, ბრალდებული (მისი ოჯახის წევრი/ნათესავი ან ადვოკატი) 507, განმცხადებელი 1810, სხვა პირი 615.[66]

---

[64]https://police.ge/ge/shinagan-saqmeta-saministroshi-motsmisa-da-dazaralebulis-koordinatoris-samsakhuri-amoqmedda/12861 გადამოწმებულია 04.07.2020

[65] https://www.justice.gov/usao-edpa/victi m-witness-resources გადამოწმებულია 04.07.2020

[66] http://pog.gov.ge/interesting-info/coordinator-of-the-witness-and-victimგადამოწმებულია 04.07.2020

თავი V. სახელმწიფოსა და საზოგადოების როლი ოჯახში ძალადობის თავიდან აცილების მიმართულებით

5.1 სახელმწიფო სტრუქტურების როლი

სახელმწიფოს პირდაპირი მოვალეობაა, ებრძოლოს დანაშაულს, გამოიყენოს ყველა ხელთ არსებული კანონიერი მექანიზმი, რათა დროულად იქნას გამოვლენილი დანაშაული და მასზე მოხდეს მყისიერი რეაგირება. მომხდარი ფაქტის მიმართ ბრძოლა, რა თქმა უნდა, ფუნდამენტური საკითხია, მაგრამ ზოგადად დანაშაულის თავიდან არიდება კი წარმოადგენს სახემწიფოს კიდევ ერთ ძირითად ფუნქციას. მან უნდა მოახერხოს, რომ განუწყვეტლივ იმუშაოს და დანაშაულის ჩადენამდე მისი თავიდან აცილება იყოს შესაძლებელი. ძალადობა საქართველოს კანონის მიხედვით დასჯადია, დასჯადია ძალადობა ოჯახში.

ძალადობა ძალას იკრებს საზოგადოების ყველა ფენაში და ყველა ტიპის სოციუმში. შესაბამისად, სახელმწიფომ უნდა ჩართოს ყველა მის ხელს არსებული მექანიზმი წინასწარი სამუშაოს ჩასატარებლად, ეს იქნება საგანმანათლებლო, საინფორმაციო და ასევე აწარმოოს კონკრეტული პროექტები. დანაშაულის თავიდან არიდების კუთხით მუშაობს სხვადასხვა სახემწიფო ორგანოები. საცხოვრებელ უბნებსა და ქუჩაში ძალადობის შემცირებისა და საზოგადოების უსაფრთხოების უზრუნველყოფის კუთხით, განსაკუთრებული როლი ეკისრება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს.

პოლიციის საქმიანობა იმგვარად უნდა იყოს ორგანიზებული, რომ თითოეულმა მოქალაქემ იგრძნოს პოლიციის ყოველდღიური ძალისხმევა და ეფექტიანი სამსახური იმ უბნებსა და ადგილებში, რომლებიც ხასიათდება ძალადობის შემთხვევების მაღალი მაჩვენებლით. განთლებისა და დასაქმების ხელმისაწვდომობისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის

სამინისტროებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს მიერ კონკრეტული ღონისძიებების განსაზღვრა და მათი მიღების შესაბამისი მექანიზმების დანერგვა მოქალაქეთა რესოციალიზაციისთვის ეფექტიანი სისტემის შემუშავების მიმართულებით.

სახელმწიფომ ფინანსური სახსრები სწორად უნდა მიმართოს და მოახდინოს მათი სწორი გადანაწილება იმ სფეროებში, რომლებიც ჩართულია დანაშაულთან ბრძოლის მიმართულებით. ხელშეწყობა უნდა მოხდეს ყველა ფოკუს ჯგუფებისა, ვინც ეწევა პრობაგანდას ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ.

5.1.1 ადგილობრივი თვითმმართველობების როლი

ქუჩასა და საცხოვრებელ უბანში ძალადობის პრევენციისთვის აუცილებელია ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ აქტიური პოლიტიკის განხორციელება კონკრეტული ქუჩებისა და უბნების, აზარტული, სპორტული და გასართობი დაწესებულებების (სტადიონები, სამორინეები, ღამის კლუბები, ბარები, რესტორნები და ა.შ.) მიმდებარე ტერიტორიაზე. ამ მხრივ მნიშვნელოვანია გარემეთვალყურეობის კამერების მონტაჟი. ხსენებული დაწესებულებების სიახლოვეს და ქუჩებში ღამის განათების გაუმჯობესება, საზოგადოებრივი ტრანსპორტის ეფექტიანი ფუნქციონირება სპორტული/კულტურული ღონისძიების დროს.

ასევე, აუცილებელია ქვეყანაში სპორტული დარბაზებისა და მოედნების რიცხვის გაზრდა, პოპულარიზაცია ჯანსაღი ცხოვრების წესისა. თვითმართველობამ ხელი უნდა შეუწყოს, გაზარდოს ხელმისაწვდომობა იმ ჯგუფებისა, რომლებსაც არა აქვთ ფინანასური საშუალება, დაკავდნენ სხვადასხვა აქტივობებით. თვითმართველობებმა თავიანთი ძალისხმევით უნდა მოახერონ მათი ჩართვა სხვადასხვა აქტივობებში, რომელიც ხელს შეუწყობს ფართო წრის ჩართულობას.

5.2 საზოგადოების როლი

დემოკრატიულ სახელმწიფოში საზოგადოების ჩართულობა ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მნიშვნელოვანი კომპონენტია. როგორც აღინიშნა, საზოგადოება, ხშირ შემთხვევაში, ხელის შემწყობ ფაქტორად გვევლინება ოჯახში ძალადობის გამოვლენის თვალსაზრისით, რადგან მათი დამოკიდებულება ოჯახში დანაშაულის მიმართ შემწყნარებლურია. ქართული საზოგადოების ტრადიციები მეტწილად აგებულია პატრიარქალურ საწყისებზე, საქართველოში დომინანტათ მამაკაცი ითვლება. ბევრია შემთხვევა გენდერული ნიშნით გარჩებისა და უთანასწორობის.

ცალსახად იმის თქმა, რომ ქართული საზოგადოების წევრების უმრავლესობისათვის მისაღებია ოჯახში დომინირებდეს მამაკაცი, შეუძლებელია მაშინ, როცა ისტორიულად, საქართველოს ქალი-მეფე მართავდა და არსებობს ფაქტები, რომელიც ადასტურებს საზოგადოებაში დემოკრატიული საწყისების არსებობას. მაგრამ დღეის მდგომარეობით მაინც რჩება დიდი ნაწილი, რომელიც, რბილად რომ ვთქვათ, ნაკლებ ყურადღებას უთმობს ამ ტიპის პრობლემას. ამიტომ აუცილებელია სურათი შეცვლა, რათა მოხდეს მოქალაქეთა მობილეზება პრობლემის დაძლვის კუთხით. ამ მიზნის მიღწევა სხვადასხვა საშუალებებითაა შესაძლებელი.

5.2.1 სამოქალაქო განათლება

მოქალაქეთა თანამონაწილეობა მნიშვნელოვანი კომპონენტია, რათა დაძლეულ იქნას ძალადობის პრობლემა. საზოგადოების წევრთა აქტიური მონაწილეობა და კანონმორჩილი მოქალაქის შეგნების ფორმირება უნდა იყოს ჩამანაცვლებელი უპასუხისმგებლო, სხვის იმედზე მყოფი და აგრესიულად განწყობილი მოქალაქის, რომელიც შემდგომში ადვილად ავლენს ძალადობრივ ქმედებას.

სამოქალაქო განათლების დანერგვისა და სწავლების ეფექტიანობის ასამაღლებლად მნიშვნელოვანია ცოდნა შესაბამისობაში მოვიდეს პრაქტიკასთან. ეს იქნება ფორმალურ თუ არაფორმალურ, ასევე ინსტიტუციონალურ დონეზეც. მაგალითად, იმიტირებული დისკუსიები, სხდომები და პროცესები, სკოლის გაზეთების შექმნა, თემატური ექსკურსიების ორგანიზება, პროექტებზე მუშაობა, მშობლებისთვის გამართული საინფორმაციო შეხვედრები და ა.შ. არაფორმალური განათლების ფარგლებში, საზოგადოებრივი და არასამთავრობო ორგანიზაციების ბაზაზე ფონდები, ახალგაზრდული ორგანიზაციები, პროფესიული კავშირები, ეკლესია, პარტიები, უნივერსიტეტები, სამეწარმეო კავშირები, საქველმოქმედო ორგანიზაციები და ა.შ[67]

საჭიროა სემინარების, პრაქტიკული ტრენინგების და გაკვეთილების, კონფერენციების, საქველმოქმედო, კულტურული თუ გარემოსდაცვითი აქციების ორგანიზება; პუბლიკაციებისა და მედიასაშუალებების გამოყენება (სხვადასხვა სატელევიზიო დებატებში მონაწილეობა და რეიტინგულ პოლიტიკურ გადაცემებზე დასწრება და ჩართულობა, მაგალითად, როდესაც საკითხი ეხება ახალგაზრდების პრობლემებს); ინსტიტუციონალურ დონეზე აუცილებელია პრაქტიკულ მაგალითებთან გაცნობა, უშუალოდ ინსტიტუციებში გადაწყვეტილების მიღების პროცესზე დასწრების გზით ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების სხდომები, პარლამენტის სხდომები და ა.შ. და ამ ინსტიტუციებისთვის განკუთვნილი საზოგადოებრივი ინიციატივების შემუშავებაში მონაწილეობით, რაც განაპირობებს ადგილობრივი დონიდან წამოსული ინიციატივების წახალისებას.[68]

---

[67] WHO Multi-country Study on Women's Health and Domestic Violence against Women, p. 4;

[68] ძალადობის პრევენციის ეროვნული სტრატეგია (საქართველოს მთავრობა) http://gov.ge/index.php?lang_id=geo&sec_id=405 30-55 გვ გადამოწმებულია 04.07.2020

დასკვნა

ოჯახში ძალადობის საკითხის განხილვის აუცილებლობა განაპირობა თემის აქტუალობამ. დანაშაულთა გამოვლენის სიმრავლემ ცხადყო, რომ ჩვენს ქვეყანაში პრობლემატურია ოჯახში ძალადობის საკითხი. უკვე აღარ არის დაფარული, რომ ქართული საზოგადოებაში ფეხი აქვს მოკიდებული დანაშაულს, რომელიც შეეხება ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორეზე ძალადობას. ეს, თავის თავში, უკვე გულისხმობს ტრაგედიას.

მართალია, ეს არ გახლავთ მხოლოდ საქართველოს პრობლემა, იგი გლობალური ხასიათისაა და ყველა ქვეყანაში შეიძლება შეგხვდეს, მაგრამ თითოეული სახელმწიფოს ვალია, ებრძოლოს დანაშაულს და სწორედ ამ საკითხის გასარკვევად გახდა აუცილებელი, შექმნილიყო ნაშრომი ოჯახში ძალადობის თემატიკაზე. რა თქმა უნდა, იგი ვერ იქნება სრულად ამომწურავი, მაგრამ ვთვლი, რომ კარგი საფუძველია, მკითხველს შეუქმას წარმოდგენა, თუ რა ტიპის დანაშაულთან გვაქვს საქმე.

ნაშრომში თემატურად განვიხილეთ სამი მთავარი საკითხი. ესენია: დანაშაულის დახასიათება ანუ რაში მდგომარეობს მისი არსი, შემდგომში როგორი გამოვლენა აქვს მას და როგორია რეაგირება. დანაშაულთან ბრძოლის თვალსაზრისით გამოიკვეთა ორი მიმართულება: ესენია სახემწიფოსა და საზოგადოების ჩართულობა. სახელმწიფოს როლი მდგომარეობს დანაშაულის გამოვლენაში და მასზე რეაგირებაში და არამარტო - ის ასევე ჩართული უნდა იყოს დანაშაულის თავიდან აცილებაში.

ამ კომპონენტში საზოგადოების როლი განუზომელია. დანაშაულის გამოვლენაში და მასზე რეაგირებაში მონაწილეობს სახელმწიფო. მოგეხსენებათ, პირველი შეხება დანაშაულთან აქვს სამართალდამცავ ორგანოებს და სწორედ ამ შეხებიდან იწყება და ვითარდება ჩართულობა სახელმწიფო უწყებებისა. კვლევამ აჩვენა, რომ დანაშაულის გამოლენასა და რეაგირებაში არის ჩართულობა, მაგრამ არასაკმარისად.

რა უნდა გავაკეთოთ რომ დავძლიოთ პრობლემა? პირველ რიგში, უნდა მოხდეს სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა მუდმივი გადამზადება და მათი ცოდნისა და გამოცდილების გამდიდრება, რათა დანაშაულის გამოვლენა იყოს მაღალ დონეზე. რეაგირების თვალსაზრისით სახელმწიფოს მეტი ჩართულობა, პირველ რიგში, უნდა გამოიხატოს საკანონდებლო ბაზის გამდიდრებითა და დახვეწით, რათა უკეთესი სამოქმედო არეალი გაჩნდეს დანაშაულზე რეაგირების თვალსაზრისით. დაიხვეწოს და გამკარდეს კანონები ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე.

დასახვეწია ასევე მსხვერპლთა და მოძალადეთა უფლებრივი მდგომარეობის საკითხიც. მსხვერპლთა თავშესაფრებისა და კრიზისული ცენტრების რაოდების გაზრდით და მათში მომუშავე პერსონალის ხშირი გადამზდებით ჩვენ მივაღწევთ იმას, რომ ძალადობის მსხვერპლთა მდგომარეობა მაქსიმალურად შემსუბუქრდეს. დანაშაულის თავიდან აცილებისათვის სახელმწიფომ უნდა მოახდინოს კომპლექსური სამუშაოების წარმოება უწყებათაშორისი სწორი კოორდინაციით და მუშაობით. სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს განათლების, ეკონომიკის, სოციალური საკითხების მოგვარებას. განათლების მაღალი დონის უზრუნველყოფით და მაღალი ეკონომიკური შესაძლებლობებით დანაშაულის რისკები იკლებს.

დანაშაულის თავიდან აცილების თვალსაზრისით საზოგადოების დამოკიდებულება მნიშვნელოვანია. ნაშრომმა აჩვენა, რომ არასწორი დამოკიდებულება ხელშემწყობია ოჯახში ძალადობისა. ინერტული, გულგრილი და არაინფორმირებული მოქალაქე, მისდა დამოუკიდებლად, ხელისშემწყობი ხდება დანაშაულისა. ამიტომ, აუცილებელია საზოგადოების ჩართულობა და აქტიურობა გაზრდა. შესაცვლელია არსებული დამოკიდებულებები, რომ ოჯახში ძალადობა პირადი საქმეა, ეს მხოლოდ ლოკალურია და მხოლოდ ერთი ოჯახის პრობლემაა. ეს, რა თქმა უნდა, სიმართლეს არ შეესაბამება. პრობლმება გლობალურია და გლობალურად საჭიროებს გადაწყვეტას. ამიტომაც, საზოგადოება უნდა იყოს ჩართული დანაშაულის თავიდან აცილებაში და ამას ხელი უნდა შეუწყოს სახელმწიფომ.

ფორმალური და არაფორმალური განათლების გზით, ინფრომაციის გამჭირვალეობით და აქტიური მცდელობით, საზოგადოების ყურადღება გამახვილდეს ამ ტიპის დანაშაულთან ბრძოლის აუცილებლოსთვის.

და ბოლოს, მინდა იმედი გამოვთქვა, რომ ნაშრომი დაეხმარება ამ თემით დაინტერესებულ პირებს, მიიღოს ინფორმაცია ოჯახში ძალადობის შესახებ, გაერკვნენ, დანაშაულზე რეაგირების რა მექანიზმები მოქმედებს საქართველოში, როგორია დანაშაულის პრევენციის კუთხით მდგომარეობა, რა მექანიზმებს იყენებს სახელმწიფო დანაშაულთან ბრძოლაში და როგორია მისი ჩართულობა, რათა თავიდან იქნას აცილებული ერთ-ერთი ყველაზე მძიმე პრობლემა, რასაც ოჯახში ძალადობა ჰქვია.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბერიკაშვილი ნ., რა არის ძალადობა? [გენდერული პრობლემატიკა საქართველოში], ქალთა განათლებისა და ინფორმაციის საერთაშორისო ცენტრი, თბ., 2002;
2. ყიფშიძე ლ., ძალადობა ოჯახში და ქალთა სოციალური პრობლემები // [ადამიანის უფლებათა დაცვის სამართალი], საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 1998, ალმანახი №7;
3. გაბრიჩიძე ნ., საოჯახო კონფლიქტის შედეგად ჩადენილი ძალადობითი დანაშაულობა, გამომც. ინტელექტი, თბ., 2004;
4. „ძალადობა ოჯახში - გენდერული დამოკიდებულებების კვლევა“, 2002;
5. ოჯახური კონფლიქტების გენდერული ასპექტები, 2003;
6. ოჯახური ძალადობა და საზოგადოებრივი აზრი - არასამთავრობო ორგანიზაცია „სახლის“ კვლევები, 2004;
7. გოგიბერიძე გ., ფერაძე მ., მიქანაძე გ., სააკაშვილი ნ., სახელმძღვანელო პოლიციის მუშაკთა ტრენერებისათვის, მესამე გამოცემა, თბ., 2012;
8. დამხმარე სახელმძღვანელო პოლიციელთათვის ოჯახში ძალადობის საკითხებზე, ავტორთა ჯგუფი (კ. ბოჭორიშვილი, მ. მესხი, ქ. ხუციშვილი, მ. ფერაძე, ნ. სააკაშვილი, ა. აბაშიძე, ნ. შავლაყაძე, ნ. ზაზაშვილი), თბ., 2010;
9. ჩიტაშვილი მ., ჯავახიშვილი ნ., ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის საკითხების ეროვნული კვლევა საქართველოში, 2010;
10. ფემიციდი - დისკრიმინაციული დანაშაული და მასთან ბრძოლის სახელმწიფო ვალდებულება, მოამზადა ორგანიზაციამ "საფარი" ფონდი "ღია საზოგადოება-საქართველოს" მხარდაჭერით, 2016;
11. ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობით მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ ნორმატიული აქტების კრებული თბ., 2010;

12. შალიკაშვილიმ., ვიქტიმოლოგია - მეცნიერება დანაშაულის შესახებ, მერიდიანი, თბ., 2011;
13. წულაია ზ., კრიმინოლოგია (ზოგადი ნაწილი), თბ., 2003;
14. ალადაშვილი ი., და სხვ., პოლიცია და ძალადობა ოჯახში, თბ., 2008;
15. ჯიმ მერდოკი, რალფ როშე, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და საპოლიციო მომსახურება, ევროპის საბჭო, 2013;
16. ტრექსელი შ., ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თბ., 2009;
17. Preventing and combating domesic violence against women. A learning resource for training law-enforcement and justice officers (CoE), 2016;
18. The Battered Women Movement and the Creation of the Wife Beating Problem Kathleen J. Tierney *Social Problems* Vol. 29, No. 3 (Feb., 1982);
19. Loss of Self-Control, Dual-Process Theories and Provocation 88 Fordham Law Review 1815 (2020);
20. Washington & Lee Legal Studies Paper;
21. Overarching Principles - Domestic Abuse Definitive Guideline, Sentencing Council, UK, 2018, p.3.
22. Women's Human Rights: CEDAW in International, Regional and National Law;
23. Handbook on effective prosecution responses to violence against women and girls;UNODC, Viena, 2014;
24. Reventing da Combating domestic violence against women, a learning resource for training law enforcement da justice officers, Counsil of Europe, 2016;
25. WHO Multi-country Study on Women's Health and Domestic Violence against Women.

ნორმატიული მასალა

1. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, რომი, 1950;

2. ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია, 2011;
3. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009;
4. საქართველოს კანონი „პოლიციის შესახებ“, 2013;
5. საქართველოს კანონი „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“, 2006;
6. საქართველოს კანონი „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“, 1984;
7. შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანება N 1079, 2006, 11 სექტემბერი;
8. შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანება N 333, 2010, 24 მარტი.

ვებ. გვერდები

http://myrights.gov.ge/ab/useful-links/faq?type=113

http://gov.ge/files/382_47041_768172_684181214.pdf

https://police.ge/ge/shinagan-saqmeta-saministroshi-motsmisa-da-dazaralebulis-koordinatoris-samsakhuri-amoqmedda/12861[1]

https://www.justice.gov/usao-edpa/victim-witness-resources[1]

http://pog.gov.ge/interesting-info/coordinator-of-the-witness-and-victim[1]
http://gov.ge/index.php?lang_id=geo&sec_id=405

https://matsne.gov.ge/ka/document/view/26422?publication=17

https://sao.ge/files/auditi/auditis-angarishebi/2019/ojaxshi_dzaladobis_dacvis_efeqtianobis_auditis_angarishi.pdf

https://matsne.gov.ge/ka/document/view/26422?publication=17

http://gov.ge/files/405_45784_336176_%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%92%E1%83%98%E1%83%90.pdf

https://emc.org.ge/uploads/products/pdf/Domestic-violence-based-on-SOGI-final-2018_1544786801.pdf

http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/120412/UNDP_GE_DG_Gender_Impact_Analysis_Drug_Reform_201712

https://police.ge/files/IRD/A5%20DV%20book.pdf

https://matsne.gov.ge/ka/document/view/26422?publication=17

https://matsne.gov.ge/document/view/3698004?publication=0

https://www.un.org/womenwatch/daw/cedaw/

https://www.un.org/en/genocideprevention/documents/atrocity-crimes/Doc.21_declaration%20elimination%20vaw.pdf

https://rm.coe.int/CoERMPublicCommonSearchServices/DisplayDCTMContent?documentId=0900001680464e72

https://police.ge/ge/odjakhshi-dzaladobisa-da-odjakhuri-danashaulis-chadenistvis-2019-tsels-4564-piri-mietsa-pasukhisgebashi/13292

https://matsne.gov.ge/ka/document/view/26422?publication=17

http://myrights.gov.ge/ab/useful-links/faq?type=113

http://gov.ge/files/382_47041_768172_684181214.pdf

https://sao.ge/files/auditi/auditis-angarishebi/2019/ojaxshi_dzaladobis_dacvis_efeqtianobis_auditis_angarishi.pdf

http://myrights.gov.ge/ka/%E1%83%A9%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%98-%E1%83%A3%E1%83%A4%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/faq/671-vin-itvleba-modzaladed

https://police.ge/ge/ministry/structure-and-offices/adamianis-uflebata-datsvis-departamenti

https://police.ge/ge/shinagan-saqmeta-saministroshi-motsmisa-da-dazaralebulis-koordinatoris-samsakhuri-amoqmedda/12861

https://www.justice.gov/usao-edpa/victim-witness-resources

http://pog.gov.ge/interesting-info/coordinator-of-the-witness-and-victim